წელიწადი მეორე
ფასი 7 კაპ.
პარასკევი, 18 გიორგობისთვე 1916 წ. № 258

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

[illegible] ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

[illegible]: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

ევგელინა რაჟდენის ასულის
წუწუნავას

გარდაცვალების ორმოცი დღის შესრულების გამო, ქ. ოზურგეთში, კვირას, 20 გიორგობისთვეს, გადახდილ იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ მეგობრებს და ნათესავ-ნაცნობებს ძმები: ალექსანდრე და სამსონი, დები: ფლორენცია, ნინა და ცეცილია, სიძეები: გრიგოლ წულუკიძე და ალექსი ბოლქვაძე.

(1—403—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა ი. აბულაძის რედაქტორობით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ახალი გამოცემა—ძველი ქართული მწერლობა, ტომი I:

შაჰ-ნამეს
ანუ
მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები.

წიგნს დართული აქვს ი. აბულაძის მიერ შედგენილი წინასიტყვაობა და ლექსიკონი. ღირს 6 მან. მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ქართულ მუზეუმში და ქართვ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. საზოგადოების წევრებს, რომელთაც კი ყველა წლის საწევრო აქვთ გადახდილი, მიეცემად უფასოდ. თბილელ წევრებს წიგნი შეუძლიათ მიიღონ ქართულ მუზეუმში. (3—252—3)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 163)
პარასკევს, 18 გიორგობისთვეს,
სიმფონიური ორკესტრი
ბ-ნ ა. სენკევიჩის ლოტბაროზით
შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია. ◆ დასაწყისი სალამოს 8½ ს.
(1—255—1)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——
(185—წ.)

„სორაპნის“ გამოცემა
დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოში
კედლის კალენდარი
შედგ. მ. გაჩეჩილაძის და გრ. სვ. ჩარკვიანისა
ფასი 70 კაპ.
სახალხო კალენდარი
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ფასი 30 კაპ.
1917

„პარტიით“ მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ М. Гачечиладзе და ქუთაისში წიგნის მაღაზია თ. მთავრიშვილისა.

გაფრთხილება. ჩვენი კალენდრის მყიდველების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ კოოპერატიულ ამხანაგობა „განახლება“-ს გამოცემულ კალენდართან, ჩვენ გამოცემას არაფერი საერთო არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება.
(12—252—3)

ამხანაგობა
„კახური მეღვინეობა“
ჩუგუნიშვილისა და სონღულაშვილისა
კირკის (კიროჩნი) ქუჩა, № 12.
საკუთარ მამულებიდან მივიღეთ საუკეთესო ღვინოები,
თეთრი და წითელი, გურჯაანიდან, ვეჯინიდან
და კახეთის სხვა ღვინით განთქმულ სოფლებიდან.
(თ.)

საუკეთესო სასადილო
„ეკონომია“
პუშკინის ძეგლის პირდაპირ.
„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253) დიმიტრი უჩ. მიზიბერია და ნ. ზ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე · ჩაი
სადილები · ყავა
ვახშმები · ხაჭაპური · პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია“
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათიით დაეთმობათ.
მელანი ასლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
—— ადგილობრივ თუ გაგზავნით. ——
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.
(თ.—228—თ.)

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
◆ პროვიზორის აზგალდიანისა ◆

ექიმი
პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

სტუდენტები
(დახელოვნებული რეპეტიტორები)
ამზადებენ მსურველთ—ორსავე სქესისას ყველა საშუალო სასწავლებელთათვის. სპეციალურათ სასულიერო სემინარიებისთვის. ოლღას ქუჩა № 56. იკითხეთ 10—12 საათ. დილით.
(6 385-5)

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

სათათბიროს გარშემო

დღეს ვადა უსრულდება სათათბიროს დროებითს დათხოვნას; საკანონმდებლო დაწესებულებათა მუშაობა მას შემდეგ შესწყვიტეს, რაც მინისტრთა თავმჯდომარე და საგარეო მინისტრი შტიურმერი სათათბიროში მილიუკოვის მიერ განცხადებულ ბრალდებებს და აგრეთვე მოკავშირე სახელმწიფოთა, კერძოდ ინგლისის, ელჩითა, უნდობლობას შეეწირა; ახლად დანიშნულმა ხელმძღვანელმა მთავრობისამ ტრეპოვმა კი სათათბიროს კრებები ერთი კვირით შეაჩერა; ბევრს ეგონა, სათათბიროს დროებით დათხოვნას მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოჰყვებოდა; საკანონმდებლო დაწესებულებათა შეჩერება უცხოეთის პარლამენტარულ სახელმწიფოთათვის ჩვეული ამბავია: საფრანგეთში, ინგლისში სამინისტროს გადადგომას ყოველთვის თან სდევს პარლამენტის მუშაობის შეჩერება; ამ დროს ახლად მოწვეული მთავრობის ხელმძღვანელი მოლაპარაკებასა ჰმართავს ხოლმე პარლამენტის მეუმრავლესე პარტიებთან, არჩევს მათთვის სანდომ მინისტრებს, არკვევს ახალ სამინისტროს პროგრამას და ამგვარად დამარაგებული წარუდგება ხოლმე ხალხის წარმომადგენელთ; მაგრამ „რუსეთი ხომ ინგლისი არ არის“, და მხოლოდ გულუბრყვილოთა შეეძლო რუსეთის სამინისტრო კრიზისი „საზღვარგარეთულად“ რომ აეხსნა; რუსეთის მთავრობის სათათბიროში წარმოდგენილი საზოგადოებრივი ძალები უკვე ათი წელია იბრძვიან სახელმწიფოს მართველობისათვის და სათანადო საეკონომიო და საპოლიციო უფლებისათვის; ამ ათი წლის განმავლობაში რამოდენიმე ათეული მინისტრი შეეწირა სათათბიროს უნდობლობას და მტრულ განწყობილებას; მაგრამ ყოველი ახალი მინისტრი იმასვე აკეთებდა, რასაც მისი წინამორბედი; იცვლებოდნენ მხოლოდ პიროვნებანი, სახელმწიფოს გამგეობის წესი კი, სისტემა მუდამ ერთი და იგივე იყო; ამ სისტემას ის მაღალი წრეები ჰქმნიან, რომელთა ხელშიაცაა სახელმწიფოს ბედი, და ეს წრეები ხომ უცვლელია; არც... ახლად დანიშნული მინისტრთა თავმჯდომარე, ბ-ნი ტრეპოვი შეადგენს ამ მხრივ გამონაკლისს; ამ ჟამად სათათბიროს ხელმძღვანელი, ეგრედ წოდებული პროგრესიული ბლოკი იმას ითხოვდა, რომ საზოგადოების ნდობით აღჭურვილ მოღვაწეთათვის ჩაებარებიათ სახელმწიფოს საჭე:

პროტოპოპოვი კი ხელმწიფის სადგომში წასულა; ცხადია, ტრეპოვის დამოკიდებულებაც სათათბიროსთან ისეთივე იქნება, როგორც წინანდელ მინისტრებს სჩვევიათ; სამინისტროს მეთაური იმას ეცდება, პროგრესიული ბლოკის ზომიერი დასები სხვა და სხვა დაპირებებით თავისკენ გადმოიბიროს; ტრეპოვი „კომპრომისს“, მორიგებას მოითხოვს სათათბიროსგან; მაგრამ პროგრესიულ ბლოკის პროგრამა და დეკლარაცია; ხომ თვითონ კომპრომისია; კომპრომისის კომპრომისი რაღა უნდა იყოს! ამიტომ ბლოკის მემარცხენე დასები, კერძოდ კადეტები, ასეთ მორიგებაზედ უარს ამბობენ; შესძლებს თუ არა მთელი ბლოკი და სათათბიროს უმრავლესობა ამ ნიადაგზედ დარჩენას, თუ გადამწყვეტ წუთს ზომიერი-მემარჯვენე დასები ჩამოშორდებიან მათ და სათათბიროს „ვაჟკაცს“—მთავრობასთან მორიგებას არჩევენ, ამას სათათბიროს განახლებული კრებები დაგვანახვებს.

ახალი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

მთავარსარდლის გუშინდელი ცნობებით, „მოლდავიის დასავლეთ საზღვრებზე ცვლილება არ მომხდარა“. ხოლო მდ. ბუზეოს ველში, დრაგოსლავლის ველამდე დიდათ აუმოქმედებია ორივე მხარეს მზვერავი რაზმები და ზარბაზნები. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლაა პრახოვის ველში, სადაც მოპირდაპირეს დაუშენია ზარბაზნები, მოშხამული და ცრემლის მომგვრელი გაზით გატენილი ყუმბარები. პრახოვის ველი პიტეშტის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, ხოლო პლოეშტიდან ჩრდილოეთით. ეს ორი ადგილი კი უმთავრესი გზაა ერთის მხრით ბუქარესტისა და მეორე მხრით ჩრდილოეთ რუმინეთისაკენ მიმავალ ერთად-ერთ რკინის გზის ლიანდაგისა. აქ უეჭველია მეტად ცხარეთ და თავგანწირვით იბრძოლებს ორ ვე მხარე, განსაკუთრებით რუმინელები, რადგანაც თუ ამ გზზე დამარცხდნენ, მთლად მოსწყდებიან ჩრდილოეთ რუმინეთს და მაშასადამე რუსეთიდან მაშველი ჯარის მისვლის იმედსაც გამოეთხოვებიან.

მეორე მხრით საგულისხმოა ზიმნიცასთან გადასულ მაკენზენის ჯარის ახალი მიმართულებაც. მაკენზენი ჯერ ჩრდილოეთისაკენ გაექანა მდ. ვედის გასწვრივ და პიტეშტს მიუახლოვდა; გუშინდელ ოფიციალი ცნობით კი მას ჯარის ნაწილი ბუქარესტისაკენ მიმავალ გზებით მიუმართავს. რუშჩუკის პირდაპირ დუნაის გაღმა აულია ჟურჟისთან მდებარე სლობოძეა. აქედან კი კულუგურენის გზატკეცილით ბუქარესტისაკენ უქნია პირი. ამ გვარათ რუმინეთის უმთავრესი ჯარი თავმოყრილია ბუქარესტ-პიტეშტი-პლოეშტის სამკუთხედში და აქავე გადასწყდება მისი ბედი, თუ რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი დამხმარე ჯარი არსაიდან მიიღო. ჟურჟის სადგური, საიდანაც მაკენზენს ჩრდილოეთისაკენ გზატკეცილით დაუწყვია შეტევა, ბუქარესტიდან 50 ვერსზე მდებარეობს, ხოლო კულუგურენი კი, რომელზედაც გაივლის ეს გზა-ტკეცილი, 25 ვერსზე იქნება ბუქარესტის სამხრეთ-დასავლეთით.

დღითი დღე ვიწროვდება რუმინეთის ჯარის გარშემო რკინის სალტე და დიადი ვაჟკაცობის გარდა, დიდძალი ზარბაზნები და ყუმბარებია საჭირო, რომ მათ აქ საბედისწერო განსაცდელს თავი დააღწიონ.

X.

ომის დეპეშები

17 გიორგობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. 15 გიორგობისთვეს, საღამოს 9 საათზე, მოპირდაპირემ სოფ. ლაბუზისა და ნაგორნის მიდამოებში (მდ. შარზეა) მოშხამული გაზის ყუმბარები დაგვიშინა. ღამის 11 საათზე აქ გერმანელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ ზარბაზნებით და ხიშტებით მოვიგერიეთ. მდ. სტოხოდზედ, პატარა პორსკას მიდამოებში, მოპირდაპირე ჩვენს თხრილებს მოუახლოვდა სოფ. პუსტომიტის მიდამოებში, ვოროხტის დასავლეთით 6 ვერსზე. ვაკარკის მიდამოების სამხრეთ-დასავლეთით 10 ვერსზე ავიღეთ მაღლობი. კირლიბაბას მიდამოებში, კირლიბაბას აღმოსავლეთით მაღლობების ქედებით დავიჭირეთ. ხელთ ვიგდეთ 11 აფიცერი, 700 მეომარი, 6 ტყვიისმფრქვეველი და 1 ყუმბარისმტყორცნელი.

კირლიბაბას სამხრეთით მდ. დოვტიანის ველამდე, მთელი წყება მაღლობებისა დავიჭირეთ.

კავკასიის ასპარეზი. ყუგის აღმოსავლეთის მიდამოებში ოსმალებმა შემოგვიტიეს, მაგრამ უკუვაგდეთ. ვანის სამხრეთით ოსმალებმა შემოგვიტიეს სოფ. შუშანის მიდამოებს და შუშანდაღის მთას.

რუმინეთის ასპარეზი. დასავლეთ ვლახეთში მოპირდაპირის ჯარი აწვება რუმინელებს, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ იხევენ. 14 გიორგობისთვეს საღამოთი მოპირდაპირემ მიაღწია დარმანეშტ-დრაგან-ვატასეშტ-კოსტეშტი-იზვორუ-ის ხაზს. ზიმნიციდან ალექსანდრიისაკენ მიმავალ გზებზე მოპირდაპირემ აიღო პრუნარო, ტოპორი, ვიერა, სლობოძეა და ჟურჟა. ჟურჟის მიმართულებით მოპირდაპირემ კულუგურენის გზატკეცილისაკენ იბრუნა პირი.

დობრუჯაში ზარბაზნებისა და თოფების სროლაა.

ბუქარესტი. ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ფრონტი. მოლდავიის დასავლეთ საზღვარზე მდგომარეობა უცვლელია. ბუზეოს ველზე დრაგოსლავლის რაიონამდე მოწინავე რაზმთა შეტაკებაა, ამასთანავე საარტილერიო სროლა არა სწყდება. პროხოვის ველზე მოწინააღმდეგემ მხრჩოლავი ბოლისა და ცრემლსადენი ყუმბარები დაუშინა. დასავლეთი ფრონტი. გუშინდელმა დღემ საზოგადოდ წყნარად ჩაიარა, გარდა ერთი მარჯვენა ფრთის უკიდურესი წვერისა, სადაც მტერმა მძიმე ზარბაზნებიდან დაუშინა.

ლონდონი. „ცეპელინთა“ თავდასხმის დროს დიდი ნივთიერი ზარალი არ მომხდარა, თუმცა ასამდე ყუმბარა ჩამოჰყარეს. მოკლულია 8 ქალი, 5 მამაკაცი და 4 ბავშვი. 35 სახლი დაზიანდა. სამხედრო დანიშნულების ადგილებს სერიოზული ზიანი არ მისცემია.

ლონდონი. ოფიციალი ცნობა საფრანგეთიდან. გუშინ ღამით მტერმა საშინელი სროლა აგვიტეხა იპრის ჩრდილოეთით. ჩვენი დანაკარგი არაა მძიმე. სუშეს სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაღმი ავაფეთქეთ. მტერმა სამჯერ იერიში მოიტანა, მაგრამ უკუვაგდეთ.

პარიზი. სომას რაიონში, დუომონის ნაწილში, საარტილერიო სროლა ვითარდება.

ლონდონი. დირიჟაბლთა ერთი ნაწილი დაესხა ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებს ათიდან—11 საათზე. ყუმბარები ჩამოჰყარეს იორკშისა და დერგემის საგრაფოებში. ჰფიქრობენ, რომ ზარალი ნაკლები იყო. ერთს დირიჟაბლს ერთი ჩვენი საზღვაო ჰაეროპლანი დაეძგერა და ჩამოაგდო დერგემის ნაპირებზე. მეორე დირიჟაბლი გაემართა ჩრდილოეთის საგრაფოებში. ამასაც საზღვაო ჰაეროპლანები დაესხნენ, თანაც განსაკუთრებულ ზარბაზნებიდან დაუშინეს. დირიჟაბლმა პირი იბრუნა. ეტყობოდა დაზიანება, თუმცა საკმაოდ მაღლა ფრენა შესძლო. იგი მხოლოდ დილის 6 საათზე ჩამოაგდეს ცეცხლმოკიდებული. ზარალის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა.

ათინა. (გზაშია დაგვიანებული). ლარისსა, ტირნავოსსა და ტრიპოლიცში რეზერვისტებმა ხელთ იგდეს სამხედრო მასალა და სამხედრო მატარებლებს არ უშვებენ. დილით ადმირალ ფურნიეს ადიუტანტი მეფესთან სადარბაზოდ იყო და საჩივარი წარუდგინა რეზერვისტების მოქმედების გამო. აგრეთვე მოითხოვა სტადიონის მაღლობებზე განზრახულ სიმაგრეთა დაწვრილებითი გეგმა.

ნაშუადღევს სასახლეში მეფის თავმჯდომარეობით მინისტრთა თათბირი მოხდა.

სირის კუნძულიდან იტყობინებიან: ინგლისელების რაზმმა ჩამოუარა გერმანელების, ოსმალეთის და ავსტრიის საელჩოებს, წაიღო მნიშვნელოვანი საბუთის ქაღალდები და საელჩოებს დარაჯები მიუყენა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუმინეთი

გირსოვოში.

როგორც ვიცით მაკენზენის ჯარმა დობრუჯაში ქალაქ გირსოვოდან უკან დაბრუნებისას დასწვა დაბა-ქალაქები. გირსოვოს მდგომარეობას ასე აგვიწერს „რ. ს.“-ს თანამშრომელი, რომელიც გირსოვოში ყოფილა მესამე დღეს, როცა ბულგარეთის ჯარმა გირსოვო დასტოვა:

ორი კვირის წინად საუცხოვოდ გადაშლილი ქალაქი ნანგრევებად არის ქცეული. ქალაქიდან გასვლის წინ, ბულგარელებმა თითეულ სახლს ცალკ-ცალკე მისცეს ცეცხლი. ამ ქალაქში ხუთი-ათას სახლზე მეტი იყო. ამათში მხოლოდ 6 სახლი-ღა გადარჩენილა, სადაც მოთავსებული იყო თურმე, რუსების ჰოსპიტლები.

ქალაქში იმ დროს შემსწრე მოხუცნი ასეთ ამბავს გადმოგვცემენ: რაწამს რუმინელებმა დასტოვეს ქალაქი გირსოვო, მაშინვე შემოიჭრა ოსმალეთის ორი პოლკი და ბულგარელებისა ერთი. იმ წამსვე ღვინის სარდაფებს ეცნენ. ორი დღე ილოთეს, თუმცა ქალაქში დარჩენილ მცხოვრებთ მეტად ზრდილობიანათ ექცეოდნენ. მეცხოვრე ჯარის მოვალეობას ოსმალები ეწეოდნენ, გერმანელ მოხელეთა მეთვალყურეობით. მესამე დღეს კარდაკარ ჩამოიარეს და ქალაქში დარჩენილი მცხოვრებნი ასწერეს.

კრაიოვოსთან.

ჟიუს ველში დამარცხებული რუმინეთის ჯარი აღმოსავლეთისაკენ კრაიოვოს რკინის გზით გამოეშურა. უკანდახეულ რუმინელებს სწრაფად სდევს მოპირდაპირის ცხენოსანი ჯარი.

11 გიორგობისთვეს, კრაიოვოში შევიდა გერმანელ გუსართა პოლკი, ქალაქზე სწრაფად გაიარა და „პიატრას“ სადგურისაკენ რკინის გზის ლიანდაგს დაადგა. რუმინელების ჯარი იძულებული იყო ამ გზით გასცლოდა ზედმისევულ მტერს და გადასულიყო მდ. ოლტეცის გაღმა (მდ. ალიუტის მარჯვენა ტოტია). ეს მდინარე პიატრა-კრაიოვოს რკინის გზას ჰკვრავს კრაიოვოდან 22 ვერსის მანძილზე.

ჟიულში მომქმედი რუმინელების ჯარი ალიუტის ველში იყო თავმოყრილი, რიმნიკის მიდამოში თავმოყრილ მეორე ჯარიდან 80 ვერსის მანძილზე.

ზიმნიცა.

ქალაქი ზიმნიცა, სადაც მაკენზენის ჯარი დუნაის გაღმა გავიდა, დუნაისა და მდ. ალიუტის შესართავიდან აღმოსავლეთით 40 ვერსზეა. ეს ადგილი თურმე საუკეთესო ფონად ითვლება მდ. დუნაიზე. 1877 წელს რუსის ჯარი სწორედ ამ ადგილას გადასულა დუნაის მარცხენა ნაპირად მარჯვენაზე. რამდენი ჯარია ზიმნიცასთან გადასული, ამის თაობაზე ცნობები არაფერი გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ აქ რამდენიმე ადგილას ერთსა და იმავე დროს გადასულა მაკენზენის ჯარი. („რ. ს.“)

დამარცხების მიზეზი

რუმინეთის ასპარეზზე მოპირდაპირის გამარჯვების გამო „რუს. სლ“-ს თანამშრომელი სწერს: „აქ მოპირდაპირის გამარჯვება უპირველესად აუარაცხელ ზარბაზნებს უნდა მიეწეროს. სამწუხაროდ რუმინეთს ამდენი ზარბაზნები არ გააჩნიათ.

პიტეშტისაკენ

რუმინელებს იმედი აქვთ, რომ, თუ ფალკენჰაინის ჯარიც გადავიდა მდ. ოლტეცის გაღმა და პიატრაში შედგა ფეხი, მაშინ რუმინელების ჯარი აღმოსავლეთისაკენ გაუსხლტება პიტეშტისა და ბუქარესტისაკენ მიმავალ გზატკეცილებით. („რ. ს.“)

ავსტრიის იმპერატორი

ავსტრიის ახალი იმპერატორი კარლოს I, დიდი თაყვანისმცემელია თურმე ვილჰელმისა. მისი მახლობელი მეგობრები არიან მორტ-ჰოლდი და ჰოენლოე. მან გოფშპისტრობიდან გადააყენა ჩეხელი მაგნატი ლობკოვიჩი და მის ადგილას მორტ-ჰოლდი დანიშნა.

დაგვირგვინება.

უნგრეთის მეფეთა დაგვირგვინების დროს, სანამ მეფე ტახტზე ავიდოდეს, მან თურმე ოთხივე მხარეს ხმალი უნდა მოიქნიოს ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით. მხოლოდ ამის შემდეგ დაადგამენ წმ. სტეფანეს გვირგვინს.

უნგრეთის კონსტიტუციის ძალით მეფე ტახტზე ასვლის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში უნდა დაგვირგვინდეს და მთავარსარდლობაც მანვე უნდა იკისროს. დაუგვირგვინებელ მეფეს ყოველივე უფლებები აქვს მეფისა, მხოლოდ კანონების დამტკიცება არ შეუძლიან. ომიანობა დაგვირგვინების დაგვიანების მიზეზად ვერ გამოდგება, მხოლოდ შეიძლება თვითონ დაგვირგვინების ცერემონია.

უკანასკნელი ცნობები

გერმანეთისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩები, ათინიდან გაძევებულნი, სოფიაში მოვიდნენ.

—

გერმანელთ ახალი ხარკი დაუდვიათ ბელგიელთათვის: თვეში 50 მილიონი ფრანკი უნდა იხადონ. ბანკ „ანტვერპენის კრედიტი“-ს დირექტორი დაუტუსაღებიათ. ბელგიის მინისტრი სოციალისტი ვან-დერ-ველდე იწერება, გერმანეთში 300 ათასი ბელგიელი გაიყვანესო.

—

ხარკოვში დიდის ამბით აკურთხეს ახლად გახსნილი საქალებო საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი. ინსტიტუტს ორი ფაკულტეტი აქვს: სატეხნოლოგიო და საინჟინერო სამშენებლო.

—

ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას, გენერალ თამამშევის განკარგულებით, გადაეცა 100,000 მანეთი ლტოლვილ მუსულმანთა სასარგებლოთ. გადადებულია აგრეთვე 200,000 მანეთი სპარსეთის ქურთთა სასარგებლოთ.

—

დასავლეთ ვლახეთში რუმინელნი თან იბრძვიან და თან უკან იხევენ.

—

შვეიცარიიდან იტყობინებიან: პოლონელ ლეგიონებს ფრანც იოსებისაგან მიუღიათ დროშები, რომელნიც ჩაჰბარდებათ პოლონელებს, როცა ისინი პოლონეთის ჯარში იქმნებიან ჩარიცხულნი.

ახალი ამბავი

სასახლეში

◆ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა სახელმწიფო საბჭოს წევრი, თბ. გუბერნ. თავ.-აზნ. წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი. დარბაზობის შემდეგ თ-დი აბხაზი მათის უმაღლესობის მიერ მიწვეულ იქნა საუზმეზე.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **ახალი ბანკი.** ამიერ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის რწმუნებულმა ბ-ნმა ი. მანსვეტაშვილმა შეუკვეთა დასამზადებლად სახელმწიფო ფასიან ქაღალდების დამმზადებელ სტამბას აღნიშნულ ბანკის აქციები. ბანკის ბუჰგალტერია ჩქარა გადავა ახალ ბინაზე.

◆ **შ. ქარუმიძის მოხსენება.** როგორც გუშინდელ ნომერში გვქონდა, მოხსენებული ბ-ნ შალვა ქარუმიძემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ქ. საქვ. საზ. გამგეობას. თვის მოხსენებაში ბ-ნი ქარუმიძე თხოულობს აღიძრას შუამდგომლობა მეფის ნაცვლის წინაშე, რათა მოწვეულ იქმნეს საგანგებო თათბირი თუშ ფშავ-ხევსურთა აუტანელ მდგომარეობის გასაცნობათ და გასაუმჯობესებლად. ამავე თათბირმა უნდა შეიმუშავოს, რა პირობებით უნდა დატოვებულ იქმნენ ჯარში გაწვევით მთიელნი და როგორ მოეწყოს სამხედრო სამუშაოების საქმე იმათთვის, ვისაც გაანთავისუფლებს სამხედრო სამსახურიდან. მთელ ამ საქმის მოწყობა და მფარველობა, ბ-ნ ქარუმიძის აზრით, უნდა დაეკისროს, თუ მეფის ნაცვლის სურვილიც იქნება, ქ. საქვ. საზ. გამგეობას.

◆ **ყულაბებით ფულის შეგროვება.** თბ. გუბერნატორმა ნება დართო ქ. საქვ. საზ. გორის ფილიალ. განყ. გამგეობას, 19 ამა თვეს ქ. გორში ყულაბებით ფული შეაგროვოს თვის თანხათა გასაძლიერებლად.

◆ **ქ. საქვ. საზ. მდივანი პ. საყვარელიძე** არტაანის ოლქიდან დაბრუნდა.

◆ **რეჟისორ ალ. წუწუნავას მიწვევა.** ბაქოს წერა-კითხვის დრამატიულ წრეში სამუშაოდ მიწვეულ იქმნა ჩვენი ნიჭიერი რეჟისორი ალ. წუწუნავა, რომელიც იქაურ რეჟისორ ბ-ნ შალვა დადიანთან ერთად იმუშავებს, მორიგეობით. მათვე მინდობილი აქვთ ბაქოს მომავალ ქართულ თეატრის გეგმის შემუშავება.

მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **მეფის ნაცვლის ბრძანებით** კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი ნ. ფ. რუდოლფი დაინიშნა მათის უმაღლესობის რწმუნებულად სახელმწიფო საბჭოში თბ. პოლიტეხნიკუმის დაარსების კანონპროექტის განხილვის დროს.

◆ **მეფის ნაცვლის კანცელარიის** დირექტორს ბ. ისტომინს მათის უმაღლესობის ბრძანებით დაევალა თვის თანამდებობის აღსრულება, ხოლო ვიცე-დირექტორებს კოლარევს და პისარსკის, რომელნიც ბ. ისტომინის თანამდებობას ასრულებდენ, დაუბრუნდნენ თავიანთ თანამდებობას.

◆ **სამხედრო სესხი.** ორი კვირის განმავლობაში თბილისში $11\frac{1}{2}$ მილიონ მანეთის ობლიგაციებზე მოუწერიათ ხელი თბილისის ბანკებსა და ხაზინებში. 17 ხაზინიდან სახელმწიფო ბანკის კანტორამ მიიღო ცნობა მხოლოდ 13 ხაზინისაგან. ცნობები არ მოსულა ჯერ 4 ხაზინისაგან.

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **საქალაქო სასურსათო დუქნები** დღეიდან (18 გიორგობისთვე) ღია იქნება დილის 8—12 საათამდე და ნაშუადღევს 3—8 საათამდე.

◆ **ქალაქის სასურსათო განყოფილება** ცდილობს კრედიტი გაიხსნას რომელსამე ბანკში. ამ ბანკის სახელობაზე უნდა მოვიდეს ქალაქის მიერ გამოწერილი სურსათ-სანოვაგე და შემდეგ, ქალაქის გამგეობის მინდობილობით, საქონელს ნაწილ-ნაწილ დაიხსნიან მეპურეები, კოოპერატივები, ანუ თვითონ ქალაქის გამგეობა.

◆ **ქალაქის გამგეობას** გადაწყვეტილი აქვს 1 ქრისტეშობისთვიდან დააწესოს თბილისში ბარათები ფქვილის მისაღებად ისე, როგორც შაქრის შესაძენი ბარათებია. ასეთი ბარათები დაურიგდებათ მეპურეებს და კოოპერატივებს.

◆ **შაქრის შესაძენი ბარათები.** საქალაქო სასურსათო დუქნებს ჯერ-ჯერობით გაუცია 15.000 ცალი შაქრის შესაძენი ბარათი; კიდევ უნდა დარიგდეს 65,000 ცალი.

◆ **ქალაქის საავადმყოფოში** ირიცხებოდნენ 17 ამა თვეს: ქუნთრუშიანი 243, ხუნაგიანი 37, ყვავილიანი 1, სახადიანი 107, სოფლიანი 447 და მუცლითა 9 კაცი.

◆ **ფქვილის ნაკლებულობა.** რადგან თბილისში ცოტა ფქვილია და ამ ხანად არც არსაიდან ელიან, ქალაქის გამგეობამ სთხოვა კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსს მისცეს ქალაქს საინტენდანტოს საწყობიდან 30 ვაგ. ფქვილი.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **კ. ნ. აბხაზის გამგზავრება.** დღეს, 18 გიორგობისთვეს, სწრაფის მატარებლით მიემგზავრება პეტროგრადს სახელმწიფო საბჭოს წევრი, თბ. გუბერნიის თავ.-აზნ. წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი.

◆ **საერობო კავშირის** რწმუნებულად ბაქოში დაინიშნა ალ. ს. ლორთქიფანიძე, რომელსაც დაევალა ამ კავშირის საქონლის შესასყიდ განყოფილების გამგებლობა.

◆ **ხარკთამკრეფ ინსპექტორთა** ყრილობა დაიხურა.

◆ **ნ. ბარათაშვილის 100 წლის** თავზე სიტყვა-კაზმულ საზ. გამგეობა 22 გიორგობისთვეს სამხატვრო-სალიტერატურო საღამოს აწყობს.

◆ **ნ დურნოვო,** ცნობილი დამცველი და მომხრე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, საქართველოში აპირებს ჩამოსვლას. თბილისში წაიკითხავს მთელს რიგს ლექციებისას საქართველოს ეკლესიის შესახებ.

◆ **სამღვდელოების საეპარქიო** კრება ქრისტეშობისთვის 12 გაიმართება. ამ კრებაზე, სხვათა შორის, განხილულ იქმნება კითხვა სამღვდელოთა შორის იმ 700 000 მანეთის განაწილებისა, ათ მილიონიან თანხიდან რომ გადაიდო.

◆ **ნიკ. ბარათაშვილის ახალი სურათი.** აღმოჩნდა ახალი სურათი ჩვენის მგოსნისა. ფანქარით დაუხატავს ცოცხალ მგოსნის სახიდან მისს მეგობარს მიხეილ თუმანიშვილს. სურათი ჩვენის გაზეთის კვირის (20 გიორგ.) დამატებაში დაიბეჭდება.

◆ **ბინის საკითხის გარშემო.** ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ქანანოვმა განცხადება მიართვა ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს. განცხადება შემდეგ საგანს ეხება: სახლის პატრონებსა და მობინადრეთა შორის ატეხილ დავას ამ ჟამად არჩევს სასამართლოს და ქალაქის საგანგებო კომისიაც, რომლის მეთვალყურედ, სავალდებულო დადგენილების ძალით, გუბერნატორი ითვლება. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ სასამართლოს განაჩენს მდგმურის მიერ სახლის დაცლის შესახებ გუბერნატორი აუქმებს და სხვ. ერთი სიტყვით ეს ორი დაწესებულება ერთი მეორეს ანგარიშს არ უწევს და თითოეული მათგანი დამოუკიდებლად მოქმედებს. მაგრამ კარგა ხანია, რაც ბინების საკითხის მოსაწესრიგებლად სახელმწიფო კანონი გამოვიდა, რომელიც ამ მცირე ხნის შემდეგ თბილისზედაც გავრცელდება. მაშინ ადმინისტრაცია ბინების საკითხს ველარ შეეხება, ამგვარი საქმეები მხოლოდ სასამართლომ უნდა გაარჩიოს და მოიყვანოს სისრულეში. ამ ჟამად ბევრს სახლის პატრონს სასამართლოს განჩინება ჰქონია მდგმურებისაგან ბინების დაცლევინების შესახებ, მაგრამ ეშინიათ, რომ თუ ამ განჩინებათა ასრულება მოვითხოვეთ, იქნებ გუბერნატორი გადაგვეღობოს წინ და ეს განჩინებანი გააუქმოსო. ამიტომ სახლის პატრონები განჩინებებს ინახავენ იმ დრომდე, სანამ ახალი კანონი არ გავრცელდება თბილისზე, როცა გუბერნატორი ველარ ჩაერევა ბინების საკითხში. ხმოსანი ქანანოვი სთხოვს ქალაქის მოურავს იშუამდგომლოს ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ აქამდისინ გარჩეული საქმეები ასე თუ ისე ეხლავე საბოლაოდ დამთავრდეს, სანამ ახალი კანონი გავრცელდებოდეს თბილისზედაც. ქალაქის მოურავმა ამ ხასიათის შუამდგომლობა უკვე აღძრა მეფის ნაცვლის წინაშე.

◆ **ქ. ერევნის** სავაჭრო სკოლისთვის საჭიროა ორი მასწავლებელი. პირველს უნდა ჰქონდეს გათავებული საკომერციო ინსტიტუტი და მეორეს საფილოლოგო ფაკულტეტი. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება შემდეგის მისამართით: ერევანი, სავაჭრო სკოლის ინსპექტორს ნ. ე. ზირახოვთან.

◆ **ჩხუბი და დაჭრა.** ალექსანდროპოლის ქუჩაზე არშაკ და მარტინ ზალიევებს ჩხუბი მოუვიდათ. მარტინმა დანით დასჭრა მუცელში არშაკი; უკანასკნელმა თავის მხრივ გამოსტაცა დანა და მარტინი 7 ალაგას დასჭრა. გონდაკარგულები არამიანცისეულ საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ **ქალაქთა კავშირის** „ფინჯან ჩაის“ ძმებმა ახმედოვებმა უსასყიდლოდ დაუთმეს 7 ხალიჩა, რისთვისაც კავშირი მადლობას უცხადებს მათ.

◆ **სასურსათო საკითხი.** კვირას, 20 გიორგობისთვეს, თბილისში გაიმართება ამიერ კავკასიის გუბერნატორთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს სასურსათო საკითხი.

◆ **კუჭით ავათმყოფობა პურისაგან.** ქალაქში ამ ჟამად ისეთი პური ცხვება, რომ წინად გლახებსაც არ აკადრებდენ ამ პურს. ამის გამო ძალიან ბევრ ოჯახებში თითქმის ყველა წევრთ კუჭი აქვთ მოშლილი. პური თალხი ფერისაა. თურმე პურში ძველ ფქვილს ურევენ და ერთგვარი მწერიც თან ჰყვება და ის უშლის კუჭს მონელებას.

დონის როსტოვი.

სექტემბრის პირველ რიცხვებში აქ მრავალ ქართველ სტუდენტობამ მოიყარა თავი. უმრავლესობა მიღებულ იქმნა საფიზიკო-სამატემატიკო ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. მაგრამ ჯარში გაწვევის გამო რიცხვი ქართველ სტუდენტებისა შემცირდა. დღეს დონის როსტოვში მხოლოდ 40-მდე ქართველი სტუდენტია.

— 22 ნოემბერს ქართველი სტუდენტების მეთაურობით აქ გაიმართება ჩვენის უკვდავ პოეტის ბარათაშვილის საღამო. სტუდენტებმა მიმართეს „ქართულ საზოგადოების“ გამგეობას და დახმარება სთხოვეს საღამოს მოსაწყობად. საღამო მხოლოდ ქართული ხასიათის იქნება. სტუდ. ი. ბაკურაძე წაიკითხავს რეფერატს ნ. ბარათაშვილის პოეზიის შესახებ. რეფერატის შემდეგ გაიმართება მსჯელობა. წაკითხული იქნება აგრეთვე მისი ლექსები. დასასრულ, სტუდენტების ხორო ქართულ სიმღერებს იმღერებს.

7 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, აქედან ქ. ცარიცინში გაამგზავრეს 88 სტუდენტი, მათს რიცხვში ოთხი ქართველია.

— ქართველ სტუდენტებმა გადასწყვიტეს 10 ქრისტეშობისთვეს გამართონ ქართულ-რუსული წარმოდგენა, „ქართული საზოგადოების“ ფონდის გასაძლიერებლად.

კასპი.

— **ეპ. ანტონის მობრძანება.** 7 ამა თვეს აქ მობრძანდა ყოვ. სამღ. ანტონი ეპ. გორისა დეკ. სვიმონიშვილის თანხლებით. სადგურზე მათს მეუფებას შეხვდენ კეთილ მოწესრიგე გორის მაზრის ეკლესიებისა დეკ. ლ. ცხვედაძე, მაზრის უფროსი და მრავალი ხალხი. ყოვლად სამღვდელო სადგურიდან გაემგზავრა თვით სოფელ კასპში, საცა ტაძარში თავმოყრილი იყო ამ დროს ადგილობრივი ინტელიგენცია, სკოლის მოწაფენი მასწავლებლებით და აუარებელი ხალხი. ეკლესიის კარის ბჭეში შეხვდა შემოსილი ჯვრით და ბაიზმით მღ. სვ. მაჭარაშვილი, რომელმაც შემდეგი სიტყვით მიმართა: თქვენი მობრძანება ამ ჩვენს კუთხეში და სამწყსოში, მე მრწამს, მეუფეო, რომ რასაც გულით წმიდათ შესთხოვთ მაღალ არსებას, იგი შეგისრულებსთ. აი ჩემი დალონებული მრევლი მოსულა, რათა მიიღოს თქვენით ლოცვა-კურთხევა და გთხოვენ, მეუფეო, ილოცოთ მათთვის, რათა მაღალმა ღმერთმა აკმაროს გაჭირვება, რასაც ამ ჟამად ესენი განიცდიან. არ არის ოჯახი ამ ჩემს მრევლში, რომ არ სტიროდეს თავისი შვილის და ძმის დაკარგვას, მაგრამ ნუგეშობენ იმითი, რომ სამშობლოს სწირავენ თავიანთ შვილებს და ძმებს. მობრძანდით ამ ჩვენს პატარა ღვთის სახლში და სთხოვეთ ღმერთს, რათა მოგვიტევოს ღმერთმა ჩვენი შეცოდებანი და აკმაროს ეს სისხლის ღვრა და დაამკვიდროს ქვეყანაზედ მშვიდობა და ერთმანეთს შორის სიყვარული და ერთობა. კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა. შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი. უგალობდა ადგილობრივ [illegible] მღ. სვ. მაჭარაშვილის ლოტბარობით. პარაკლისის შემდეგ ეპ. ანტონმა მეტად საგულისხმიერო და შინაარსიანი სიტყვით მიმართა ხალხს. ეკლესიის დათვალიერების შემდეგ მათმა მეუფებამ ბალღებს დაურიგა წიგნაკები, ხოლო გაჭირვებულთ ფული, რომელიც მაზრის უფროსის განკარგულებაში იყო გადმოცემული. აქედან მათი მეუფება გაემგზავრა სარევიზიოდ ლამის ყანის ოკამისსა და სამთავისს. ყველგან აუარებელი ხალხი ხვდებოდა. იქაც მათი მეუფება ხალხს დარიგებას აძლევდა და ფულს ურიგებდა. ღირს შესანიშნავია ასეთი მოგზაურობა მღვდელ მთავრისა.

ქუთაისი.

— სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკმა ათი თუმანი გაუგზავნა თ. ჟორდანიას დამკრძალველ კომიტეტს.—იმავე ბანკმა დამსახურებულ მსახიობს ვ. გუნიას გაუგზავნა იმდენივე.

— გიორგობისთვის 20 დანიშნულია სათავად-აზნაურო ბანკის დამფასებელთა არჩევნები. სამსახურის ვადა გაუვიდათ დამფასებელთ: თ. თ. ბონდო მიქელაძესა და ნ. ლორთქიფანიძეს.

— გიორგობისთვის 14-დან აქ დიდი ქარები ჰქრის. ზოგან ხის სახლებიც კი დაანგრია. საერთოთ დიდათ დააზარალა ქალაქი.

— ახლად დაარსებულ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი ამა წლის 4 ქრისტეშობისთვისათვის მოიწვევს ბანკის წევრთა საზოგადო კრებას. უნდა აირჩიონ გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრები.

— ქუთაისში ლაზარეთები უნდა გაეხსნათ დაჭრილ მეომართათვის. ამ ლაზარეთებს 900.000 მანეთამდე სჭირდებოდა. და ეს ხარჯი სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირს უნდა გაეწია. ქალ. თავმა ი. ჩიქოვანმა ქალაქის საბჭოს მოახსენა, რომ კავკასიის კომიტეტმა უარი გვითხრა ამ ლაზარეთების გახსნაზეო.

ქ. სიღნაღი.

— 21 ნოემბერს, ქ. სიღნაღში გაიმართება თბილ. გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარე საზოგად. ფილიალურ განყოფილების კრება სხვა და სხვა საკითხის განსახილველად.

ქალთა საპროფესიო განათლება ჩვენში

ვინ იცის, იქნებ ისე არასოდეს ყოფილიყო საჭირო ჩვენში ქალთა საპროფესიო განათლების შესახებ ლაპარაკი, როგორც დღეს, როდესაც ოჯახი უკაცოდ დარჩა და ცხოვრება პირდაპირ აუტანელი გახდა. ზოგადი განათლება, კლასიკური გასიფრიფანება, ანემიით ღონის მიხდა,—აი რას ესწრაფოდნენ ჩვენში, აი რა ჯურის განათლებას ეტანებოდნენ ბოლო ხანამდე. რუსეთში ქალთა მოძრაობა და მისწრაფება საპროფესიო განათლებისკენ, მართალია, დიდი ხანია დაისმის, მაგრამ მოძრაობა იგი ჩვენამდე ვერ აღწევდა, ჩვენი ქალებისთვის სრულიად უცნობი რჩებოდა. მარტო ერთი ქალთა მედიკური განათლების ისტორია რადა ღირს! რუსის ქალები დიდის ენერგიით შეუდგნენ საექიმო ცოდნისკენ გზის გაკაფვას. ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ შეაფერხა მათ მიერ უნივერსიტეტებისკენ გზის გაკაფვა, განსაკუთრებით ისტორიაში უკვე ცნობილი მათი დევიზი „ბებიობისკენ“! როდესაც ვხედავთ მათ ასეთს თავგანწირულებას, მათს დაუღალავს შრომას, უმაღლეს კურსებისკენ გზის გაკაფვას, როდესაც ვხედავთ თუ როგორის სიმტკიცით იცავენ ერთხელ დასახულს მიზანს და ოდნავაც ყურადღებას არ აქცევენ, თუ მთავრობა მთელს ხუთი წლის განმავლობაში როგორ ყოყმანობდა, მიეცათ თუ არა ამ კურს დამთავრებულთათვის უმაღლეს სწავლა მიღებულ ბებიის სახელი, როდესაც ვხედავთ, თუ რუსი ქალები ამ საკითხს როგორ მეათე ხარისხოვან საკითხად სთვლიდნენ და აღფრთოვანებით მთავრობისავე დაუკითხავად მიდიოდნენ საზოგადოებისა და ხალხის სამსახურისთვის, რის გამოც მათ ვხედავთ ყოველგან, ყოველს დაწესებულებაში,—თქვენ უნებურად ეკითხებით თავს, ჩვენი ქალები რაღას აკეთებდნენ? რა ასულდგმულებდათ მათ? თუ ზოგადი ფერხული არა, იქნებ ეროვნული რამ გამონახეს და ამაზე დახარჯეს ენერგია? მაგრამ არც ერთი და არც მეორე! ჩვენს ქალებს ამ მხრივ არავითარი ისტორია არა აქვსთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის, იქნებ ასეთი დაუდევრობაც იყო მიზეზი, რომ ჩვენი ქალები უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნისა, სრულიად მოუმზადებელი შეჰხვდა ომს, მისგან გამოწვეულ ცხოვრების მძიმე უღლის სატარებლად. თუ ფრანგის ქალებმა, ვისგანაც საზოგადოდ ვრცელდებოდა სინარნარე, ზერელე ატაცება, თუ გნებავთ, თუთიყუშობა და ტიკინად გარდაქმნა, თუ დარდიმანდი კაფეში დღე-ღამის მთეველი კოკოტიც რევოლიუციის დროინდელ დედათა მოწოდებით გაიმსჭვალება და მამულის დასაცველად მამაკაცთ ტვირთს უმსუბუქებს, არა იმით, რომ მართლა „რაინდის მოსასვენებელ კარვობის“ გაწევის მეტი არა შეეძლოს რა, არამედ იმიტომ, რომ თოფხანებისა, ქარხნების გარშემო შრომის ცეცხლისთვის მუგუზალი შეეკეთებინა, შინ მშრომელი ძმებიც ბრძოლის ველისკენ გაესტუმრებინა, თუ არა ნაკლებ მამულიშვილურის გატაცებით გამხნევებულან გერმანელი ქალები, ინგლისელები, თვით რუსებიც კი, სამაგიეროდ ჩვენში ამის მზგავს არასა ვხედავთ, ჩვენი ქალების დიდი და დიდი როლი კანტი-კუნტად მოწყალების დობაში გამოიხატა!

თქმა არ უნდა, ჩვენ ქალთა ასე ჩამორჩენა იმითი კი არ აიხსნება, რომ შრომის უნარი არ შესწევდეს, არამედ სწორედ იმითი, რომ ნიადაგი სწავლა-განათლების მიღებისა ყალბად გაიგეს. პრაქტიკული სწავლა-განათლება, პროფესიონული სკოლების უქონელობა თუ არ გვწყალობს, არა იმიტომ, რომ მოთხოვნილება არ იყოს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ეს რატომღაც დასამცირებელ საქმედ მიგვაჩნია. ისე სჩანს, თითქოს განათლება განათლებისთვის გვესაჭიროებოდეს, სალონებისთვის და არა ცხოვრებისთვის. თუ უცხოეთში და რუსეთშიაც კი დღეს-დღეობით ქალს ვხედავთ თვით სამეურნეო ფერხულშიც ჩაბმულს, სოფელში გასულს, როგორც მეურნეს, ინსტრუქტორს, ნიადაგის მკვლევარს, სასოფლო კოოპერატივებში, საერობო დაწესებულებათა შორის, და ამისთვის იგი არ ჰსაჭიროებს მთავრობის ფორმალ-უფლებრივ სანქციას, ჩვენში ისევ ძველის გზით მიდიან. ჰუმანიტარულ ცოდნის მიღწევა ჩვენი ქალებისათვის ყოველისფერს ნიშნავს. პატარა „განათლების“ სკოლისა და „საოსტატო სემინარიისადმი“ ალმაცერი ყურება, მისდამი გულგრილი მოპყრობა საუკეთესო საბუთია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი ზერელე შეხედულობა გვქონია ჯერ კიდევ ცხოვრებაზე. ჩვენი ქალი ეკრძალვის, აბუჩად იგდებს სპეციალ განათლებას, საპროფესიო სკოლებში, სემინარიებში შესვლა ეთაკილება. არა სჩანს წყურვილი დამოუკიდებელი შრომის შესწავლისა, ქალურ შემოქმედების იმმანენტურ ღირებულების განსაკუთრებულ ხასიათის გამოსამუშავებლად.

ერთის მხრით ასეთს მახინჯ მოვლენას ხელს უწყობს თვითონ მთავრობის პოლიტიკაც. ოჯახის დარღვევა, აქედანვე ეროვნულ კერის ჩახშობა, სიმახინჯე, გადაგვარება დედათა მეოხებით, მთავრობამ მიზნად გაიხადა და აკი სასურველად მიაღწია მას აუარებელ გიმნაზიების დახსნით. სამაგიეროდ მთავრობა იგი არა თუ არ ჰზრუნავდა ჩვენში საპროფესიო-სპეციალ განათლების გავრცელებას, პირიქით, ახშობდა, ხელს უშლიდა კიდეც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია მოვიხსენოთ, თუ ადგილობრივი მოხელეები როგორ თამამად ჰსარგებლობენ დრაკონის დროის შემოღებულს „სამრეწველო წესდების“ ძალით, რომელმაც თვით შიდა რუსეთში კარგა ხანია მოსჭამა თვისი თავი და სამარცხვინოდაც მიაჩნიათ იმითი ხელმძღვანელობა. მაგრამ ის, რაც არ არის შესაწყნარებელი იქ, აქ ხომ ყოველთვის სავალდებულოა! ჩვენ მრავლად მოგვეპოვება იმისი საბუთები თუ ერთის კალმის მოსმით როგორ უნდა გაუქმებულ იქმნას თვით ისეთი უვნებელი, დაბალი საფეხურის ჭრა-კერვის, ან სხვა რამ საცეხო განყოფილებათა დახურვა. ქუთაისში მცხოვრებ ქ-ნ ეკ. ა—შვილის „ჭრა-კერვის კურსების“ ისტორია, სადაც უმეტესად დაობლებულ ბავშვებს და ჯარისკაცთა უპატრონო ცოლებს ასწავლიან ხელობას ცხოვრებასთან საბრძოლველად, საკმარისია იმის დასანახავად, თუ რაოდენი ზრუნვაა მთავრობის მოხელეთა მხრით ასეთს სწავლის გასავრცელებლად*). ალღოს ჩაკვლა რაღაც პოლიტიკურის მოსაზრებით, სადაც არავითარი პოლიტიკა არ არსებობს გარდა ერთი ძველის-ძველ წესდებისა, ვერავითარი სახელია საზოგადოდ და მით უმეტეს დღეს, როდესაც ცხოვრება ასე რიგად მოითხოვს ცხოვრებას!

მაგრამ მთავრობის კანცელარიათა მოხელეების ასეთი ორმაგი ბულალტერია იქნებ ძალაში ყოფილიყო, რომ თვით ჩვენს საზოგადოებაში სჩანდეს რაიმე სიფხიზლე, ხალისი შრომის გამაადვილებელ ცოდნის მიღებისა, შეგნება მძიმე მომენტისა, რომელიც გულზე ხელის დაკრებას და ვარსკვლავთა თვლას კი არ მოითხოვს, არამედ მოქმედებას და კვალად მოქმედებას! შევიგნოთ მომენტის სასტიკი კარნახი, რომ ჩვენს ბედში მყოფ ერისთვის კალათის დაწვნისა, თოხ-ნიჩაბის და ნემსის მოხმარება უფრო გვეჭირვება, ვიდრე მყუდრო დროის და ნეტარ მიძინების ხანის ბუნდოვან თეორიების სწავლა, სიტყვიერებათა და უქმ მეცნიერებათა თავგადაკლული დევნა.

არა, ჩვენი ქალი მომზადებული უნდა შეებრძოლოს ცხოვრებას! ჩვენმა ქალმა საპროფესიო განათლებით უნდა იხსნას თავისი თავიც და ოჯახიც! ამას გვიბძანებს დღევანდელი მდგომარეობა, ასეთია ჩვენი ერის უზენაესი სურვილი! „საპროფესიო ცოდნა“,—აი რა უნდა გაიხადონ დევიზად ჩვენმა ქალებმა. მის განსახორციელებლად ამიერიდგან ყოველი დაბრკოლება უსათუოდ ძლეულ უნდა იქნეს!

დ. ქ—ძე.

---

*) ამ სკოლის ისტორიის საბუთები, თბილისის გუბერნატორისადმი თხოვნა და დადგენილებანი, აგრეთვე წესდებანი ჩვენთან ინახება და საჭიროების მიხედვით გამოქვეყნდება კიდეც. დ. ქ.

კვირის ნომერი თავის დამატებით მიძღვნილი იქმნება ჩვენის დიდებულ მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო.

მოთავსებული იქნება

გაზეთში: ჩვენთა ისტორიკოსთა და დამსახურებულ მოღვაწეთა წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ.

დამატებაში: ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ერთი მათგანი ჯერ დაუსტამბავია და ნაპოვნია დავით გ. კარიჭაშვილის მიერ.

ლექსები: ბარათაშვილისადმი ილია ჭავჭავაძისა, ნ. დადიანისა, განდეგილისა, დუტუ მეგრელისა, ხანდრო შანშიაშვილისა და სხვათა.

სურათი ნიკო ბარათაშვილისა, რომელიც ახლახან იპოვნეს, ნახატი თუმანიშვილისა.

სურათი ნ. ბარათაშვილის პირველ მიჯნურისა.

ნ. ბარათაშვილის ფაქსიმილე, სამარის ძეგლი დიდუბეში და სხვა.

საეპარქიო სასწავლებლის ცხოვრებიდან

დეკ. კ. კეკელიძის გაცილება.

ამ თვის 13 რიცხვი, არაჩვეულებრივი დღე იყო სასწავლებლის ცხოვრებაში: ამ დღეს თავის ძვირფას ყოფილა ინსპექტორს, აწ სემინარიის რექტორს, დეკანოზ კ. კეკელიძეს ეთხოვებოდენ სასწავლებლის მოწაფენი. დარბაზი დილიდან თანდათან აივსო ყვავილებით. წირვისა და პარაკლისის შემდეგ ძვირფას ნაინსპექტორალს „მრავალ-ჟამიერი“ უგალობეს და შემდეგ მოწაფეებმა გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს. ყველა სიტყვაში ღრმა ნაღველი გამოიხატებოდა, ყველანი გულისტკივილით აღნიშნავდნენ მომენტის სიმძიმეს; მთელი სასწავლებელი მწარე ცრემლით სტიროდა, თან ძვირფას მოძღვარსა და მასწავლებელს წინ ყვავილებს უფენდა. ვერ შეიკავა ცრემლი თვით მამა დეკანოზმაც (რომელმაც ამ სასწავლებელში ათ წელზე მეტი გაატარა) და ძვირფას ნამოწაფართ მგრძნობიარე სიტყვით გამოეთხოვა. შემდეგ სასწავლებლის ეზოში საგანგებოდ მოწვეულმა ფოტოგრაფმა დამსწრეთა სურათი გადაიღო.

მეორე დღეს (14) საღამოს მცირე გამოსათხოვარი სერობა გაუმართეს მამა დეკანოზს მისმა ყოფილმა თანამსახურებმა. თითქმის ყოველი მოლაპარაკე თავის გამოსათხოვარ სიტყვაში მადლობით აღნიშნავდა მამა დეკანოზის ღირსებებს როგორც ადამიანისა, უფროსისა და ხელმძღვანელისას. აღნიშნულ იქმნა მისი დიდი ღვაწლი თვით სასწავლებლის წინაშეც.

გამოსათხოვარი საჩუქრებისათვის შეკრებილი ფული, თვით მამა დეკანოზის სურვილის თანახმად, სასწავლებლის ღარიბს მოწაფეთა სასარგებლოდ იქნა გადადებული.

დამსწრე.

გიმნასტიკის სწავლების შესახებ

„კეთილის შესახებ უნდა სთქვა და სთქვა და კიდევ სთქვა, სანამ არ შეიგნებენ“.
პრ. კარლ. რეკლამი.

ყოველი შეგნებული მოქალაქე სიხარულით უნდა ეგებებოდეს ჩვენი ქვეყნის სასწავლო მთავრობის ყოველ ახალ ნაბიჯს, რომელსაც სახეში აქვს ახალ-თაობის სწავლა-აღზრდის საქმის მოწესრიგება, მისი წესიერ კალაპოტში ჩაყენება. ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში კავკასიის სკოლაში ერთი რამ ახალი ცვლილებაა აღსანიშნი. ეს ცვლილება შეეხება ახალ-თაობის ფიზიკურ აღზრდის მოწესრიგებას... ერთს საამისო საშუალებად ითვლება გიმნასტიკური ვარჯიშობანი...

გიმნასტიკურ ვარჯიშობათა წარმოებას წესიერ ნიადაგზე მიაქცია ყურადღება ჩვენებურმა სასკოლო მთავრობამ.. ძველი აღზრდის, ძველ ყაიდის პედაგოგები და შეუგნებელი მშობლები გიმნასტიკის სწავლების შემოღებას ალმაცერად უყურებდნენ და მის ინიციატორს სასაცილოდ იგდებდნენ; გიმნასტიკურ ვარჯიშობებს მაიმუნობად სთვლიდნენ და მის საალმზრდელო მნიშვნელობას არაფრად აგდებდნენ... ფიზიკურ აღზრდაზე ყურადღების მიქცევამ ჩვენებურ სკოლაში წესი აუგო ძველებურ სასკოლო სწავლის ზოგიერთ ნაკლულევანებათა, როდესაც მოწაფეები იძულებულნი იყვნენ მსხდარიყვნენ და კვლავ მსხდარიყვნენ ოთხს კედელს შუა, ესუნთქათ წამხდარი ჰაერი და მით შეემზადებიათ თავის სხეულში ნიადაგი ათასგვარ სნეულებათათვის...

ფიზიკურ აღზრდაზე ყურადღების მიქცევით სამუდამოდ მოისპო კავკასიურს სკოლაში ძველი წიგნური სწავლა, რომლის საშუალებით მოწაფე შორს იდგა სინამდვილეზე, გარეშემორტყმულ ცხოვრების უცოდინარი. მოწაფე დაუახლოვდა ცხოვრებას, რეალობას, ბუნებას. ძველს სკოლაში ადამიანის ფიზიკური განვითარება მივიწყებული იყო. ამის მეოხებით სკოლა იძლეოდა სუსტი ჯანის მოქალაქეს, ენერგიაა და ძალ-ღონეს მოკლებულს, შრომის ხალისს არ მქონებელს, რომელიც თრთოდა ორპირქარის და „გაცივების“ მხოლოდ ერთი გახსენებითაც კი.

გონივრულად დაყენებული გიმნასტიკა ითვლება ადამიანის საზოგადო განვითარების ქვაკუთხედად. გიმნასტიკის სასარგებლოდ მოძრაობა დაიწყო დასავლეთ ევროპაში. იქ რუსეთზე ადრე შეიგნეს, რომ ახალთაობის აღზრდის საქმემ უკუაგდო ის იდეალები, რომელნიც შეამუშავა ძველმა საბერძნეთმა. ბერძნები აღზრდის უმთავრეს საგნად სახავდნენ იმას, რომ ადამიანი გამოსულიყო მთლიან პიროვნებად, რომლის ძალები სულიერი, გონებითი და ფიზიკური ყოფილიყვნენ წესიერ ურთიერთობასა და დამოკიდებულებაში... ძველებური აღზრდა, სახელდობრ საშუალო საუკუნეებში, იმას სცდილობდა, რომ სრულიად ხელი არ შეეწყო ბავშვის ბუნებისთვის მის წესიერ და მიზან შეწონილ აღზრდის საქმეში; არა თუ ხელი არ შეეწყო, არამედ პირდაპირ დაესახიჩრებია, დაეჩლუნგებია ეს ბუნება. ამას სჩადიოდნენ იეზუიტური სკოლები.

მოვუსმინოთ, რას ამბობს ამ საკითხის შესახებ ერთი შესანიშნავი რუსექიმთაგანი სამოცდა მეათე წლებში ვ. ო. პორტუგალოვი (1835—1896), ჰუმანიურ შეხედულებათა და საზოგადოებრივ საგიგიენო ზომათა მოძღვარი... პედაგოგიკის საფუძვლად ჰიგიენა უნდა იყოს. სწავლების არსებული სისტემა სხვა არა არის რა, თუ არ ყველა გონივრულ საგიგიენო ცნებათა შებღალვა, მათ წინააღმდეგ სრბოლა. ძველ დროში—და ახლაც—მშობელთა და მასწავლებელთა ცდა იმას ესწრაფებოდა, რომ მოწაფეებს გაკვეთილები კარგად დაეზეპირებინათ და გამოცდა ჩაებარებინათ. სწავლების მიზანი იყო—დიპლომის მიღება და სამსახურში შესვლის უფლებათა შეძენა. სკოლა არ იძლეოდა არავითარს აღზრდას. მასში იყო გამეფებული ზეპირობა, „კბილვა“...

თუ გსურთ, რომ თქვენი შვილი კარგი ადამიანი გამოვიდეს, აჩვენეთ საკუთარ ცხოვრებიდამ კეთილშობილური მაგალითები და მიაბარეთ გარეთს სკოლაში, სადაც ყურადღება აქვს მიქცეული ფიზიკურ აღზრდას. გიმნასტიკა ხელს უწყობს წესიერ მოძრაობას, წესიერ განვითარებას და აგრეთვე სხეულის ყოველძალთა წესიერ ზრდასა და თანწონილობას. ექიმის გლიარის სიტყვით, გონივრული პედაგოგიური გიმნასტიკა საჭიროა წესიერი აღზრდისთვის; ის მტკიცედ შეკავშირებულია გონებით განვითარებასთან. ყველგან, სადაც კი სახალხო განათლებაა გავრცელებული, გიმნასტიკის სწავლებას დიდს ყურადღებას აქცევდნენ. იქ გიმნასტიკა სკოლის პროგრამაშიცაა შეტანილი. რუსეთის სასწავლებლებში, პორტუგალოვის სიტყვით, არა თუ გიმნასტიკას არ ასწავლიან, არამედ ბარბაროსულ საშუალებათა მეოხებით ახალთაობას სიცოცხლეს და ჯანის სიმრთელეს უსპობენ. ჩვენი ჭაბუკები სუნთქავენ მეტად წამხდარ ჰაერს, უმოძრაოთ არიან, სხედან ზედიზედ რამდენსამე საათს სულისშემხუთავ ოთახებში, ძალას ატანენ თავის ჯერ გაუმაგრებელ ტვინს და გამოდიან სკოლიდამ უსიცოცხლონი, ფერმკრთალნი, სისხლნაკლულნი, სუსტი გულისანნი, იტანჯებიან ბუასილით, ხშირად ჭლექით და ხდებიან ამ სახით სასკოლო მიბრჯნილობის (რუტინის) მსხვერპლებად. უნდა სიმართლე ვთქვათ, რომ ერთ ადგილს ჯდომა. უმოძრაობა ყოველთვის მავნებელია: ამ დროს ზურგის კუნთები გაიჭიმებიან, ხოლო მუცები შეზნექილი რჩება. ამ მავნებელ მოვლენის წინააღმდეგ სხეულის მოძრაობა—ერთი უძლიერეს საშუალებათაგანია... მრავალ საგნოვანობა ჩვენს სკოლებში მიზანს გვაშორებს, ავსებს მოწაფის თავს ყოვლად გამოუსადეგარ აბდა-უბდით. ჭაბუკნი გამოდიან სასწავლებლიდან [illegible] ბაისლურ შინაარსის [illegible] თხულობენ ცხოვრებაში და ახალ-ახალ ცოდნის შეძენის წყურვილი მათ არ გააჩნიათ. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი სკოლა თვის ზეპირობით გამოცდებით ჭაბუკის გულში თავისუფალ გონებით განვითარების წყურვილსა ჰკლავს. ჩვენმა მშობლებმა რომ იცოდნენ, ფიზიკური სისაღის რაგვარ საფასურით ღირს იქნებიან მათი შვილები ოქროს მენდლებისა და ქებითი ფურცლებისა, ისინი უარ ჰყოფდნენ ამ გარეგნულ განსხვავების მიმზიდველ სიბრჭყვიალეს და იმას ამჯობინებდნენ, რომ მათს შვილებს ჯანი საღი ჰქონდეთ და მეტი საღი ჭკუა,—თუნდა კლასიკები ნაკლები იცოდნენ.

პროფეს. რეკლამი სცნობს აუცილებელ საჭიროებად გიმნასტიკასაც ბავშვთა კეთილდღეობისათვის. განსაკუთრებით ქალაქებში ბავშვები სულშეხუთულები არიან: მათთვის არსად არაა თავისუფალი ცხოვრება და საღი შეუვიწროებელი მოძრაობა. ცუდი შედგენილობის ჰაერი ქალაქებში წარმოშობს ათასგვარ ავათმყოფობას. ქალაქში მცხოვრები მოწაფეები განიცდიან ამას გარდა საკლასო ოთახში ჰაერის გაუწმენდელობის, ჯდომის, ტანის უსუფთაობის, ყავის ხმარების და სხვ. ცუდს გავლენას. აი სწორედ აქ, ქალაქებში, გიმნასტიკა ზედ მისწრებაა. ის საჭიროა როგორც სავაჟო, ისე საქალებო სასწავლებლებისათვის. ჯანის სისაღე არა ნაკლებ ესაჭიროება მოწაფე-ქალის, ამ მომავალ დედას, დიასახლისისას და მეუღლეს. გიმნასტიკის საშუალებით კუნთები ანვითარდებიან ყოვლის მხრით, მოწაფის კარგათ ეძინება, სისხარტე ეტყობა და მის სხეულში სისხლი თანასწორად და წესიერად მოძრაობს. გერმანელთა ექიმი არნ. კრიუხემ ამ რამდენისამე წლის წინ სთქვა: „პედაგოგები „ჩინოვნიკებად“ გადაიქცენ. ისინი უფრო ჯამაგირის დარიგების დღის მოახლოვებისათვის ზრუნავენ, ვინემ ახალთაობის აღზრდის დიდი პასუხისმგებლობისათვის. ისინი ცოტა ყურადღებას აქცევენ ახალთაობის ფიზიკურ განვითარებას. გონივრულად დაწყობულ გიმნასტიკას შეუძლია თავისი საკეთილო გავლენა იქონიოს. ჭაბუკური ტვინი, გონივრულ ფიზიკურ მოძრაობათა ზედგავლენით, მეტად ჩქარა აღადგენს თვისს ცოდნათა მიმღებლობის ნიჭს და შეიძენს ხალისს ახალ ახალი შრომისათვის [1])...

სწავლა-აღზრდის ძველ სისტემის მეოხებით ჩვენებური სკოლა ორკეცად იტანჯებოდა. უცხო ენათა შესწავლა ძველ მეთოდების საშუალებით, საგანთა ნახევრად გაუგებლობა, ზეპირობა თუთიყუშური და სხვა მძიმე მოვლენანი არა თუ ხელს არ უწყობდნენ ჩვენებურ ახალთაობის ფიზიკურ აღზრდას, არამედ უდროვოდ

---

[1] Шведск. гимн. пер. Губинскаго стр. 14—16.

ფეხი იბრუნა

(მოთხრობა) *)

ესე ლა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

20.

ზოგმა დარდმა ჩქარა იცის განელება; გადნება იგი, გაილევა, უჩინარ იქმნება და ანთავისუფლებს გულს ახალ შევბისათვის, ცხოვრების ლამაზ სახეების მისაღებ-მისათვისებლად. ფეფიკოსათვის თანხის დაკარგვა ამნაირი დარდი იყო. მართალია, ძლიერ ძნელი იყო ქალისათვის ამ სახსრის მოსპობა, მაგრამ მაინც უნელებელი არ იქნებოდა, არც გარდუვალი, თუ მხოლოდ ფულს შეჰხებოდა ბოროტება; მაგრამ აქ საქმე უფრო რთული იყო და ჯავრის მიზეზი ღრმა: ლადიკო, მისი ჯვარწერილი ქმარი, მის ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, ბუნებით ცუდი გამოდგა, საფუძვლიდგანვე ჩამბალ-ჩაშლილი, ხოლო მის სიკეთეზედ ფიქრი ამაო, თუნდ მის შემდეგისათვის გამოკეთებაზედ ფიქრი. გამოუცდელმა ქალმაც კი მთლად შეიგნო ეხლა ეს და ამან ჩაუბნელა გული უნათებლად, ჩაუშალა ყოველივე იმედი მომავალზედ. ფუჭი და უნდა ყოფილიყო მისი შემდეგი ცხოვრება, ხოლო მისი ქალობა ჩაშავნელებული. ეს განუქარვებელი დარდი იყო, რომ საფლავის ლოდივით ეწვა ქალს გულზედ, უხშობდა მას ყოველ სიამის კარს, უიმედობის მთხრებლში ჩასთხევდა ამოუსვლელში.

უფრო დაიჩაგრა ქალი, შეშინდა, დაიღალა. გვერდით აღარავინა ჰყვანდა საიმედო, აღარც არაფერი ჰქონდა დასაყრდნობელი და ფეხ აკრეფით და დადიოდა სახლში ნიადაგ გამოცლილი, სსო მიხდილი, თავის საკუთარი თავისადმიც რწმენა გაცრუებულია. ახლა დედამთილიც სულ იმას ჩასჩიჩინებდა, მოუმზადებელი ხარ ცხოვრებისათვის, ყოვლად შეუძლებელია შენი ქვეყანაში გარევა და გამოჩენა, იმდენი უნარიც კი არ გაქვს, წრთვა შეიგნო და ახალი რამე შეიძინოო. იმდენი ჩასძახა დიასახლისმა ესა და ამისთანები, რომ ბოლოს იმანაც მართლა მთლად შეუგნებლად წარმოიდგინა თავისი თავი; ფრთები დაუშვა, საცოდავად აიბუზა; შეგებრალებოდათ, თვალებში რომ ჩაგეხედნათ შემკრთალ და განადგურებულ ქალისათვის. დედამთილს არად მიაჩნდა ფეფიკოს ტანჯვა, ის უფრო და უფრო უავდებოდა მას და უანჩხლდებოდა. თვის ბოროტებას ეხლა ისიც დაერთო, რომ დასცინოდა ქალს, თითქმის მასხარად იგდებდა. მას აქეთ შემოიღო მან ეს ახალი სახსარი დამცირებისა, რაც ფეფიკოს მთლად გაუფლანგა ქმარმა ფული და ხელცარიელი დასვა იგი.

— ჩემს ლადიკოს უფრო განვითარებული ცოლი შეჰფეროდა, ქალაქში გამოწვრთნილ-გამოცდილი და ხელგამამავალი, რომ მოენადირებინა ყმაწვილ კაცი და მაგრა დაეჭირა ხელში. შენ კი, ჩემო დაღონებავ, წახვედი და ვიღაც სოფლელი გოგო მოუყვანე, თითქმის მთლად შეუგნებელ-გამოუცდელი. აბა რა ადგილი აქვს მაგას ჩვენს სახლში და ჩვენს ყოფაში?!—ჰყვედრიდა ქმარს დედაკაცი.

— ლადიკოს თვით ალქაჯიც ვერ მოჰხრიდა, თუ ცოლად შეჰყროდა, გესმის? თვით ალქაჯიც კი! რა უნდა გააწყოს ამისთანა კეთილმა და ღვთისნიერმა ქალმა?! მართალს ამბობ, ტყუილად ჩავდექი მაგის ცოდვაში და ჩვენს ღვთისგარეგანს შევრთე ეგ. საუკეთესო ქმრის ღირსია ფეფიკო, პატიოსანი კაცის ხელში ნამდვილად საყვარელი მეუღლე დადგებოდა და ტკბილი დიასახლისა,—მიუგო ქმარმა და თავი შეაფარა თავის ოთახს, როცა ნახა, როგორ ბოროტად აუთამაშდა ლოყა მის ცოლს ამ მკვახე სიტყვაზედ.

მიდიოდა დრო. თანდათან შეიმაღლა მზემ ცის კამარაზედ. უფრო და უფრო ჩამოცხა. ჯერ ისევ მაისი იყო და ისე საშინლადა ცხელოდა, რომ ფეფიკოს შუა ზაფხულშიაც არ ენახა ესეთი სიცხეები. სუნთქვა ეშრობოდა ისეც შემძიმებულ ქალს. მისმა დედამთილმა სწრაფად იწყო წასასვლელად მზადება. არც ქმარს ამზადებდა, არც რძალს. მარტო თითონ ემზადებოდა თავის სხვა შვილებით. ლადიკოს ხომ არც კი ახსენებდნენ. მაინც საკვირველ ცხოვრებას ატარებდა ეხლა ლადიკო: დღე ეძინა, ღამე შინიდან იკარგებოდა; სრულებით დაეტოვებინა ზრუნვა აზრიან ცხოვრებაზედ. როცა ცოლი ჰკითხავდა, რატომ სამსახურში არ დადიხარო, ის უტევდა:

— მერმე რა სამსახურია ის?! რაღაცა ოცდა თხუთმეტი მანეთი თვეში! ჩვენი მზარეული ორჯერ მეტს იღებს, ადამიანმა რომ იანგარიშოს. ან რა გაფიქრებს და გადარდებს? ხომ გაქვს ღვთის მადლით ყველაფერი, ბინაც, საზრდოც, ჩასაცმელ-დასახურიც და სხვა რაღა გინდა ნუ გეშინიან, ყოველთვის ესე იქნები უზრუნველყოფილი. მაინც შენ რა გაღონებს? მე ვარ სახლში ვაჟკაცი და ჩემი საზრუნველია ეგ ყველაფერი,—ეტყოდა ლადიკო ცოლს.

ქალი კი ძალიან დარდობდა. ჰხედავდა, რომ მის ქმარს არამც თუ არავითარი შრომა არ შეეძლო და ზრუნვა ცოლშვილის შენახვაზედ, არამედ თითონაც სხვის ულუფაზედ ყოფნა სჭირდებოდა, სხვის უშნო ბარგი გამხდარიყო მოსაბეზრებელი.

ფეფიკოს ჯერ მაინც კიდევ ეგონა, საზაფხულოდ თან წამიყვანენო, როგორც ოჯახის განუყრელ წევრს, მაგრამ როცა უკანასკნელი დრო მოვიდა, დედამთილმა გადაჭრით უთხრა:

— შეუძლებელია შენი წაყვანა. სადაც მე მივდივარ, იქ სულ სხვაგვარ ცხოვრებას ვეწევით, განათლებულს და ბრწყინვალეს. შენთვის იქაური საზოგადოება მთლად უცხო იქნება და შეუფერებელი; არც გაწრთვნა გაქვს სათანადო, არც ტანთსაცმელი შესაფერი. ძალიან ძვირადაც დაჯდება იქ შენი შენახვაც, შენთვის ცალკე ოთახი, ზედმეტი საზრდო და ყველა სხვა დიდს ხარჯს გამოიწვევს. შენ კი ფული აღარა გაქვს ხელში, დიდი სარგებლითა გაქვს გასესხებული. ვერც რას ისიამოვნებ: საშენო გასართობი იქ არაფერი იქნება. აქ დარჩი პეტრე იოსების ძესთან. წლეულ ეგ სამსახურის გამო ვერ წამოვა საგარაკოდ. იცოდე, მაგასაც ბალღივით უნდა ყურადღება და ხელის შეწყობა: ცხოვრებისა არაფერი ესმის. მსახურებს აქა ვსტოვებ ჩემი მოახლის გარდა. ამზრდელი, რა თქმა უნდა, ბავშვებს გამოჰყვება. ვინძლო ჩემ მოსვლამდისინ არაფერი წაახდინონ, სახლი არ აიკლონ,—უბრძანა ქალბატონმა რძალს.

ფეფიკომ მორჩილებით მოისმინა დაბარება. მეტი რა ღონე ჰქონდა?! ეუცხოვა კი მას თავისი ასეთი დამცირება, ძალიან ეწყინა; თვალები ცრემლით აევსო. ის ნუგეში და უქარვებდა შეურაცხყოფას, რომ დროებით მაინც მოჰშორდებოდა დიასახლისას და აღარ გაიგონებდა მის მკაცრ ხმას, აღარ განიცდიდა ყოველ წუთს მისგან ბოროტ წრთვნას, არც მომაბეზრებელ შენიშვნებს ყოველ ფეხის გადადგმაზედ. საწყენი კი ძალიან იყო დედამთილის ქცევა ფეფიკოსათვის, იმასა ჰგვანდა ეს, ოჯახი ხატობაში წასულიყო, რძალი კი შინ დაეგდოთ, ეზოყურე სუფთად შეინახეო. მართალია, სახლის უფროსიც ქალაქში რჩებოდა, მაგრამ ეს ხომ უნებური იყო და სამსახურის გამო თითქმის იძულებითი. ლადიკოზედ კი ხმაც არ ამოუღიათ არც მის დედას, არც სხვებს, თითქო ის წევრი კი არ არისო სახლისა, არამედ ვინმე შემთხვევით იქ მცხოვრებელი, სახლის აზრა უმნიშვნელო თუ ნალო სათრეველი.

ეხლა კი მარტო დავრჩით, ჩემო ქალო საყვარელო! აბა შენ იცი და შენმა დიასახლისობამ. მსახურები მკაცრ ბრძანებას არიან დაჩვეულები და ეცადე შენი გულკეთილობა სისუსტეში არ ჩამოგართვან, თავს არ წავიდნენ. თუ შეგაწყინონ ან არ გისმინონ, მე მითხარი ხოლმე და მე ვაჩვენებ მაგათ სეირს! ძალიან ხომ არ გეწყინა, ჩემო კარგო, თან რომ არ წაგიყვანა შენმა დედამთილმა?—უთხრა პეტრემ რძალს,

როცა გაისტუმრა ცოლშვილი და შინ დაბრუნდა.

— არა! მაინც ტყუილად ხელს შეუშლიდი მე იქ: ვერ შევითვისებდი ისეთს ცხოვრებას, როგორსაც დედამთილი სწერდა. იმისი კი მეშინოდა, თქვენც არ წაბრძანებულიყავით,—მიუგო ქალმა

და ნდობით შეხედა ამ თვის ახალს მამას კეთილისმყოფელს. პეტრეს უამა რძლის პასუხი და აღუთქვა, ვეცდები, არაფერი გაგიჭირდეს, ოღონდ კი დარდს ნუ დაიმჩნევ და გული მხიარულად შეინახეო.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „საქართ.“ № 257.

სამარეს უთხრიდნენ მას. ან კი რითი აიხსნება აურაცხელი რიცხვი უდროდ გარდაცვალებულთა ინტელიგენტთა ჩვენს ქვეყანაში, თუ არა იმით, რომ მათს ფიზიკურს აღზრდას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა... თუთუნის წევა, ალკოგოლიანი სასმელების მოჭარბებული ხმარება, ცალმხრივი საზრდოობა, კანის უსუფთაობა, უმოძრაობა, ჯდომა მოძრაობის მაგივრად, უზომოება სმა-ჭამაში და სხვა ასეთი მოვლენანი სამარეს უთხრიდნენ და უთხრიან უდროვო დროს ახალთაობის ჯანის სისაღეს და მისი სიცოცხლის დღეებს ამოკლებენ...

ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა სიმართლის თქმა. სიმართლე კი გვიკარნახებს აღვიაროთ, რომ ჩვენებურს სასწავლებლებში ფიზიკურ განვითარებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მზრუნველმა ბ. ნ. თ. რუდოლფმა. აღზრდის საქმე ისე არსადაა დაყენებული, როგორც ჩვენში. 1909 წელში მის განკარგულებით და ხელმძღვანელობით გაიმართა კურსები გიმნასტიკის და ფიზიკურ ვარჯიშობათა ხელმძღვანელთა მოსამზადებლად. ამისი მსგავსი კურსები იმართებოდა ამის შემდეგ ქუთაისში, კავკავში და სხვა ადგილებში. ამ კურსების მეოხებით მომზადდა მრავალი ხელმძღვანელი ფიზიკური აღზრდისა და მათ შორის ბლომად ქართველი მასწავლებლებიცაა, რომელნიც თავისი სამსახურის ადგილებში, როგორც თვით პირადად ვიცით, მოღვაწეობენ აღზრდის ამ მნიშვნელოვან დარგში. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ გიმნასტიკა და სხვა ფიზიკური ვარჯიშობანი, მათ შორის ექსკურსიებიც, საკეთილო გავლენას იქონიებენ ჩვენი ახალთაობის ფიზიკურ აღზრდაზე. მოისპობა მის საშუალებით ადამიანთა მოუხეშაობა, წელში მოხრილობა, ცალი მხრის დაწევა და სხვა არასასურველი მოვლენანი, რომელთაც უხვად სთესდა ძველი სკოლა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე „მშვენიერი" ერთსა და იმავე დროს „ჯანსაღიცაა". ლამაზი, შეწონილი სიარული, წესიერი მოძრაობა და მოხდენილი მიხვრა-მოხვრა—ისეთი მოვლენანი არიან, რომელნიც თავისთავად ძვირფასნი არიან. შეხედეთ, თუ მოუხეშავი სოფლელი ვარჯიშობათა მეოხებით როგორი მხედარი ხდება. სამხედრო პირები საზოგადოებაში ხიბლავენ ყველას თავისი მოხდენილობით და სიყოჩაღით. ნუ დავივიწყებთ, რომ თვით გოგოლის ჩიჩიკოვი დიდს მნიშვნელობას აძლევდა იმ გარემოებას, რომ შეეძლო დიდის მოხერხებით ერთ ფეხზე მოტრიალება თითქმის სამხედრო პირის სისხარტით.

9 წლიწადია ვმსახურებ ბათომის სავაჟო გიმნაზიაში. ვიცოდი მრავალი მოწაფე სისხლ-ნაკლები, ფერმკრთალი, სუსტ-ღონიანი, მომავლნი მსხვერპლნი ჭლექისა. სწორედ გონივრულმა გიმნასტიკამ გააჯანსაღა ეს მოწაფენი, რომელნიც დღეს საუცხოვოდ გრძნობენ თავს. გადავიკითხეთ დაკვირვებით მოწაფეთა ავადმყოფობის სტატისტიკა 1908—1914 წლებისა, შედგენილი ოფიციალურ ცნობების მიხედვით ოლქის მიერ, და დავრწმუნდით, რომ გიმნასტიკის და სხვა ფიზიკურ მოძრაობათა შემოღების და გაძლიერების თანასწორად და მათთან ერთად მცირდება შესამჩნევად ავადმყოფ მოწაფეთა რიცხვი. ეს უტყუარი ფაქტია!

ნუთუ ამის შემდეგ ჩვენთვის სულერთი უნდა იყოს, იქნება თუ არა გიმნასტიკა და სხვა ფიზიკური ვარჯიშობანი ჩვენს სასწავლებლებში?! ჩვენ მხოლოდ შორიდან მივჩერებივართ სკოლას და სასაცილოდ ვიგდებთ იმ საკეთილო ზომებს ფიზიკური აღზრდისას, რომელთაც მასში ადგილი აქვსთ. ჩვენ არ შევალთ სკოლაში და ერთ უბრალო გამხნევების სიტყვას არ ვეტყვით მას, ვინც ზრუნავს ჩვენ შვილთა ფიზიკურ განვითარებისთვის. სჩანს, ეს საკითხი ნაკლებ გვაინტერესებს. მაგრამ სწორედ ამ საკითხშია ჩამარხული ჩვენი მომავლის მთელი ბედი. დაჩიავებული, დაავადებული და დასნეულებული მომავალი თაობა—ვერაფერი ნუგეშია ჩვენი ერის მყობადისათვის. მაშ, მეტი ყურადღება ფიზიკურ განვითარებას, მეტი თანაგრძნობა იმ სკოლისადმი, რომელმაც ასეთ განვითარებას ჯეროვანი ადგილი მისცა.

შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ შრომითი სკოლის შესახებ.

P. S. იხილეთ ჩვენი წერილები ქართულად: „განათლება" 1911 წლ. გვ. 268. რუსულად: „ზაკ. რეჩ." 1915 წ. № 220, რომლის ბოლოს სწერია: „Sapiens".

ილ. ფერაძე.

ქუთაისის სემინარია

ქუთაისის სემინარიის მართვა-გამგეობა, ჯერ ჯერობით, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას აქვს დაკისრებული. ამ გამგეობაში სემინარიის ოთხი ახლად დანიშნული მასწავლებელიც ღებულობს მონაწილეობას. ამ მასწავლებლებს შორის ერთი ქართველი ბერია, რომელიც საღმრთო წერილის მასწავლებლად არის დანიშნული. პირველი, მოჩქარებული სამუშევარი, ამ ორი შეერთებული სასწავლებლის გამგეობისა არის არა უმთავრესი საგნების მასწავლებლების დანიშვნა და დანიშნულ მასწავლებლებს შორის ზედმეტი გაკვეთილების განაწილება. ყველა დანიშნულ მასწავლებლებს, და მათშორის ქართველ ბერსაც, ის უნდათ, რომ რაც შეიძლება ზედმეტი გაკვეთილები იგდონ ხელში და იმას კი არ კითხულობენ, შესძლებენ საქმეს პირნათლად გაუძღვნენ, თუ არა. ამის თაობაზე გამგეობას ორჯერ ჰქონდა სხდომა, ერთი 10 და მეორე 12 ნოემბერს.

დასავლეთ საქართველოსათვის ქუთაისის სემინარიას დიდი მნიშვნელობა აქვს, და მისი მასწავლებლების დანიშვნაც დიდათ აინტერესებდა ყველას, განსაკუთრებით ორ საგნის მასწავლებლისა. ეს მასწავლებლები არიან ქართულ ენისა და ქართულ გალობისა. როგორც ვიცით, არც ერთ ამ საგნის სწავლება, ჩვენში არსებულ სასწავლებელში, რიგიანად დაყენებული არ არის. ამის მიზეზი საერო სასწავლებლებში გაკვეთილების სიმცირეა და სასულიეროში ამ საგნების ზედმიწევნით მცოდნე მასწავლებლების უყოლობა.

ყოვლად სამღვდელო გიორგიმ, ადრევე გაითვალისწინა ყოველივე ეს და ქართულ ენის მასწავლებლის ადგილზე ქუთაისის სემინარიისათვის ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი პირი ვუკოლ ბერიძე წარადგინა დასამტკიცებლად სადაც ჯერ-არს. სამწუხაროდ, დღემდის ამ წარდგინებისა არაფერი ისმის. ამ გარემოებით ისარგებლა სასწავლებლისა და სემინარიის შეერთებულმა გამგეობამ და 11 ამ თვეს ის აზრი გამოსთქვა, რომ ქართული ენის გაკვეთილებისათვის საჭირო არ არის ცალკე მასწავლებელი იყოს დანიშნულიო. ამ მოსაზრებას გამგეობის რუსი-წევრები მით ასაბუთებდენ, რომ აგერ ჩვენშორის არის ქართველი ბერი-მასწავლებელი, რომელსაც საღმრთო წერილის გაკვეთილები ვერ უვსებენ შტატის გაკვეთილებსო და ისა სჯობია, ქართულ ენის გაკვეთილებით შეუვსოთ იმას შტატიო და სხვა გაკვეთილების დანაწილებაში ჩვენ აღარ ჩაგვეზიარებაო. ქართველმა ბერმა-მასწავლებელმა კი თამამად განაცხადა—ძრიელ კარგად ვიცი ქართული ენა და არამც თუ ამ ენის გაკვეთილები, მათემატიკის გაკვეთილებიც მე მომეცითო, არც ამ გაკვეთილებისათვის არის ცალკე მასწავლებელი საჭიროო. ასეთმა მისმა განცხადებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სამღვდელოების წარმომადგენლებს შორის, ერთხმად მოითხოვეს, ქართული ენის მასწავლებლად აუცილებლად ვუკოლ ბერიძე ყოფილიყო მოწვეული. საქმის ასე დატრიალება რუს-მასწავლებლებისათვის ხელსაყრელი არ იყო და ქართველი ბერითურთ ყოველი ზომა და ღონე იხმარეს თავისი გატანათ. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო გასაოცარი ქართველ ბერის საქციელია. მან საზოგადო ქართული საქმე, თავის პირად ანგარიშებს შესწირა.

ყბად აღება ქართულ ენისა პირველი მაგალითი არ არის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობაში. მოწაფეების მიღებისა და გამოცდების დროს გამგეობის თავმჯდომარეს არა-ერთხელ მოუხსენებია ჩვენი ენა უდიერად. არც ქართულ გალობას ადგას კარგი დღე. ცნობილი გალობის მასწავლებელი, სახელგანთქმული მღვდელი, მამა რაჟდენ ხუნდაძე, დევნილი და შევიწროებულია. ეს აშკარად დამტკიცდა ამ ნოემბრის 10-ს, როდესაც ქართული გალობის მასწავლებელს ირჩევდა სემინარიისათვის გამგეობა. სამღვდელოების წარმომადგენლებმა აქაც ერთხმად მოითხოვეს სემინარიის გალობის მასწავლებლად ცნობილი ძველ ქართულ გალობის მცოდნე მასწავლებელი რაჟდენ ხუნდაძე ყოფილიყო დანიშნული, მაგრამ რუსმა ზედამხედველმა - თავმჯდომარემ თავის ხელქვეითების ხმები იშოვა, მღ. ხუნდაძე გააშავა და გალობის უვიც პირს მიაკუთვნა ეს თანამდებობა.

ამ ნაირ პირობებში იხსნება ამ ჟამად ქუთაისის სემინარია. იმედი გვაქვს ყოვლად სამღვდელო გიორგი თავისს ნაჭირნახულევ საქმეს შესაფერ წინამძღვრებს გამოუნახავს.

შ. ფარცხნალელი.

დაბა-სოფლები

ს. ახმეტა (თიანეთის მაზრა). 8 ნოემბერს ს. ახმეტას ესტუმრა ბ. თბილისის გუბერნატორი. თანახმად განკარგულებისა ბ. გუბერნატორს სასოფლო მმართველოს ეზოში უცდიდნენ: თუშების, ფშავლების, ოსების, ქისტების, ახმეტის და მატნის საზოგადოებათა წარმომადგენელნი. ეს რწმუნებულნი ამ შემოდგომაზედ იყვნენ თბილისში გაგზავნილნი ბ. გუბერნატორთან ქისტებზედ საჩივლელათ. თუმცა ქისტები არც წინათ ისვენებდნენ, ხშირად თავს ესხმოდნენ მთიულებს— თუშ-ფშავ-ხევსურებს და საზაფხულო საძოვრიდგან საქონელს იტაცებდნენ, მაგრამ რაც ომი დაიწყო და ქისტების კბილის დამჭერი ახალგაზდობა ჯარში იქმნა გაწვეული, ქისტებმა იხელთეს დრო და შეესივნენ უპატრონოთ დარჩენილ სოფლებს. მთის ქისტების გარდა ცარცვა-გლეჯა ბარის ქისტებმაც დაიწყეს, დუისოფელი, ომალო, ხორაჯა, ჯოყოლა და ჩხათანა, აი ეს ხუთი სოფელი მოსახლეობს პანკისის ხეობაზედ, ძალიან ნაყოფიერი ადგილები უჭირავსთ და შეძლებულადაც ცხოვრობენ. წინათ ესენი ცოტა არ იყოს მოკრძალებით იყვნენ. წელს კი მათ შეჰკრეს კავშირი გროზნის ოლქის ქისტებთან და მათთან ერთად მთელი კახეთი აამტუტეს. აუარებელი ხალხი მიდიოდა ბოქაულთან საჩივლელად: ქისტებმა საქონელი დაგვპარეს, კვალი პანკისში მივიტანეთ, ქისტებმა სოფელში არ შეგვიშვესო. ათასში ერთხელ ბოქაული, როგორც იქნებოდა, დააყრევინებდა ქისტებს ნაქურდალ საქონელს. უმეტეს შემთხვევაში კი ქისტები ოსტატურად მიჰმალავდნენ ნაქურდალს. ძალიან ოსტატურათა აქვსთ ქისტებს მოწყობილი ქურდობის საქმე და მათი დევნა მით უფრო ძნელი იყო, რომ სტრაჟნიკი ქისტები და განსაკუთრებით მაცა მარიშაული განაგებდნენ თიანეთის მაზრას და აბა რა სამართალი უნდა მიელო კაცს ამისთანა პირობებში. აუარებელმა საჩივრებმა და გაზეთებში დასტამბულმა წერილებმა აიძულა მთავრობა თიანეთის მაზრაში გამოეგზავნა გამომძიებელი. თორმეტ ენკენისთვეს თიანეთის მაზრას ეწვივა პოლკოვნიკი დუბანოსი, რომელმაც მოიარა რამდენიმე სოფელი ფშავ-ხევსურეთისა და გამოძიება მოახდინა. ამ გამოძიებას შედეგად მოჰყვა მაზრის უფროსის თ. ყარალაშვილის, ბოქაულის ცისკაროვის და ქისტი სტრაჟნიკების სამსახურიდგან დათხოვნა. განწვავებულმა ნასტრაჟნიკალმა ქისტებმა გული მით მოიფხანეს, რომ თუ ისინი წინათ ქურდ ქისტებს ჩუმ-ჩუმათ გზებს ასწავლიდნენ, ეხლა მათ შეუერთდნენ და დაიწყეს აშკარად საქონლის ტაცება. ისიც თითო-ოროლა სულს ხომ აღარა სჯერდებოდნენ, მთელი გუთნეულები მიუდიოდათ. სხვათა შორის, მათ ს. მატნიდგან გაიტაცეს ერთბაშათ 14—16 სული მსხვილ-ფეხა საქონელი და რამდენიმე დღის შემდეგ ალვნიდგან მოიტაცეს გუთნეული ხორხლელი გლეხისა, რომელიც ალვნის მამასახლისსა ჰყავნდა დაქირავებული. ამ უკანასკნელმა ამბავმა ისე აალელვა მთელი თუშები, რომ მათ აისხეს იარაღი, მოასხდნენ ცხენებს და დაეცნენ ქისტებს პანკისში ნაქურდალი საქონლის საძებნელად. თუ თუშებს ნება აქვსთ დართული იარაღის ტარებისა, ქისტებსაც თითქმის ყველა ოჯახში იარაღი მოეპოვებათ ნება-დაურთავად. და აი პანკისში ქისტები და თუშები შეიარაღებულნი ერთმანეთს უნდა დასტაკებოდნენ, რომ ადგილობრივი ბოქაულის მოხერხებულ მოქმედებას და ხვეწნას არ დაეშოშმინებინა აღელვებული თუშები. მაინც უმსხვერპლოთ ვერ გადარჩნენ. თუშებმა მოჰკლეს შეპყრობილი იჩო ალხანიშვილი — ქისტი — გამოჩენილი ყაჩაღი და ცხენების ქურდი. ქისტები დღესაც ეძიებენ სისხლს თუშებისაგან და განწყობილება ქისტებსა და თუშებს შორის მეტის-მეტად გამწვავებულია. მთელ თიანეთის მაზრასაც ისე მოაბეზრეს ქისტებმა თავი, რომ მოსალოდნელია ყველამ ხელი გამოილოს.

ბ. გუბერნატორი მობრძანების თანავე მიესალმა წარმომადგენლებს და ორ საათის განმავლობაში ესაუბრა მათ და მამაშვილური დარიგება მისცა, ურჩია მშვიდობიანათ ეცხოვრათ. ქისტებს ურჩია მიეცათ ამანაკები პოლიციისათვის და შურის ძიებისათვის თავი დაენებებინათ. ხოლო რაც აქამდის მოხდა,—დაჰპირდა გუბერნატორი,—კომისიას დავნიშნავ და ყველაფერს გამოვაძიებინებო. ორ საათზედ ბ. გუბერნატორი მიწვეულ იქმნა სადილზედ, ხოლო ოთხ საათზედ ახმეტიდგან თელავში წაბრძანდა. ხალხი კმაყოფილი დარჩა ბ. გუბერნატორის დარიგებით და დაიმედებული, რომ თიანეთის მაზრაში დამყარებულ უბედურობას ბოლო მოეღება.

თიანეთის მაზრის უფროსად თ. ყარალაშვილის მაგიერ დაინიშნა მის თანაშემწედ ნამყოფი გ. ს. ბაჩურინი, რომელიც წინათვე აღელვებული იყო ქისტების მოქმედებით. ხალხი მას იცნობს, როგორც სიმართლის მოყვარე კაცს და დარწმუნებულია, რომ ის ჯეროვან ზომებს მიიღებს ქისტების წინაამდეგ. ცისკაროვმა ისევ ძველი ადგილი მოძებნა. ის ისევ ხითაროვს დაუდგა „პრიკაზჩიკად" და ნავთსა ჰყიდის. მას ხითაროვების ბოქაულს ეძახიან და ხშირად იჩივლებენ ხოლმე მოხელეებთან: „ხითარიანთ პრისტავმა ნავთი არ ჩაგვისხაო".

უშიშა.

—

სოფ. ტეზერი (გორის მაზრა). აქ მცხოვრებ აზნაურ ორჯონიკიძეებს გარდაუწყვეტიათ მიჰმართონ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას და აცნობონ, რომ ისინი მზად არიან შესწირონ ქართველ მოღვაწეთა აგარაკისათვის ადგილი, ღვალუანად წოდებული, სივრცით რამდენიც კი დასჭირდება საზოგადოებას აგარაკის ასაშენებლათ. აგარაკი ღვალუანა მდებარეობს სოფელ ტეზერსა და ბეკამ-შუა და სივრცით ოცდა-რვა (28) დღისაა.

ბუნება საუცხოო; რამდენსამე ალაგას გადმოჩუხჩუხებს საუკეთესო ღირსების წყარო, შიგვეა ზომით 6 დღიურზე მეტი ნორჩი, მაგრამ ძლიერი მუხნარი.

$^1/_2$ ვერსით დაშორებულია თბილის-ფოთის რკინის გზის იმ ლიანდაგს, სადაც მომავალში უნდა აშენდეს მატარებლებისათვის გასაჩერებელი ბაქანა. დაბა სურამს კი $2^1/_2$ ვერსით შორავს.

მისასვლელი გზა უნდა გავიდეს ყიფიანების ადგილზე, რომელნიც, იმედია, საჭირო ადგილს დაუთმობენ ამ მიზნისათვის.

ამორჩეული კაცი უკვე ჩამოსულია საზოგადოებასთან მოსალაპარაკებლად. ამას აგრეთვე დავალებული აქვს მიჰმართოს ყიფიანებს საჭირო ადგილის დათმობის შესახებ.

გ. ორჯონიკიძე.

ღია წერილი

ბ-ნს კ. ანდღულაძეს

ბ-ნო კ. ანდღულაძევ! გაზეთ „თანამედროვე აზრის" 175 ნომერში, მასწავლებელ დ—ს გალახვის შესახებ გიმეორებთ, აშკარა ცილი დამწამეთ და პასუხიც გაზეთ „საქართველოში" მოგახსენეთ. ეხლა ამავ მასწავლებელ დ—ს შესახებ „თან. აზრის" 219 ნომერში ახალ ბრალდებას მახვევთ კისერზე. აგრეთვე ბევრ სხვა ბოროტების ავტორად გამოგყავართ. უხერხულად მიმაჩნია გაზეთ. ვამტკიცოთ უსაფუძვლობა თქვენს მიერ წამოყენებულ ბრალდებათა. უნდა გაგვასამართლოს სამედიატორო სასამართლომ.

ამიტომ წინადადებას გაძლევთ, ბ-ნო კალენიკე ანდღულაძევ, რომ გამომყვეთ სასამართლოში შემდეგის წესით:

2) ამ წერილის დასტამბვიდან 1917 წლის 10 იანვრამდე, როდესაც თქვენი ნება იქნება, მობრძანდებით ზემო სვანეთში იმიტომ, რომ ყოველივე საბრალმდებლო და გასამართლებელი საბუთები მარტო სვანეთში მოიპოვება თქვენც ჩვეული და მცოდნე ხართ სვანეთისა და უკეთუ შიში რისამე გაქვსთ, მე ვიყო ჩემის თავით პასუხის მგებელი წინაშე საზოგადოებისა; 2) თვითეული ჩვენთაგანი ირჩევს სამს მედიატორს; 3) ექვსი ჩვენი მედიატორე, ჩვენგან დამოუკიდებლათ, ირჩევს მეშვიდე თავმჯდომარეს; 4) თავმჯდომარის არჩევამდე უფლება გვაქვს ორივე მხარეს, მოპირდაპირის არა სასურველი მედიატორე არ მივიღოთ და გამოვცვალოთ ასეთი; 5) უკეთუ მე გამტყუნდები სასამართლოს მიერ, ვზღავ სვანეთში თქვენი მოსვლისა და მედიატორეთ ყოველს ხარჯებს და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების რაჭა-ლეჩხუმის განყოფილების სასარგებლოდ ვიხდი 100 მანეთს ჯარიმას და თუ არა, ყოველივე ამას თქვენ ზღავთ ნახევრად; 6) მედიატორეთა განაჩენი დაისტამბება გაზ. „თ. აზრში" და „საქართველოში" და 7) ჩემის მხრით მედიატორებად ვასახელებ: ა) მასწავლებელს მიხაილ კვაჭაძეს. ბ) ფარის მღვდელს იოსებ გულდედავს და გ) მასწავლებელს მიხა პირველს.

თქვენ ბ-ნო კალენიკევ, უნდა დამიმტკიცოთ თქვენ მიერ გაზეთში დასტამბული შემდეგი ბრალდებები: 1) რომ მე მასწავლებელს რ—ს ვსცემე წინათ განზრახვით, რადგან მან სადღაც ჩემი სადღეგრძელო არ დალია, 2) რომ მე ძალდატანებით სვანეთში ქალებს ვათხოვებ იმიტომ, რომ „გასამრჯელოს" ვიღებ; 3) რომ მე ს. ჭუბერში რაღაც „ფურები" მოვითხოვე; 4) რომ „ყველიერის" წინა კვირეში დღესასწაულის დროს, ანუ ოდესმე ჩემის შიშით და ძალდატანებით ვისმეს ჩემს ოჯახში ძღვენი მოეჰქონდეს; 5) რომ, თუმცა სვანეთის გლეხკაცობა უკმაყოფილოა ამ ჩვეულებებისა მაგრამ ჩემის შიშით, ანუ იოტის ოდენა ზეგავლენით ვერ მოუსპიათ ესრეთი „მავნე" ზნე-ჩვეულებანი; და 6) რომ მე, ანუ **დღევანდელი ჩემი საკუთარი ოჯახის რომელიმე წევრი** ხელის შემწყობია სვანეთში მავნე ზნე ჩვეულებათა, ბოროტებათა, და საერთოთ ხალხის ორგული ვართ.

აი, თქვენ მიერ ჩემდამი წამოყენებული მძიმე ბრალდებები, ბ-ნო კალენიკევ!.. და უკეთუ თქვენ პატივისცემა გაქვთ პრესისა, საზოგადოებისა და პიროვნებისა, ყოვლის მიზეზის გარეშე უნდა დასთანხმდეთ ზემოთ აღნიშნულ კულტურულ სასამართლოს წესით საქმის გარჩევას. ჩემის მხრით დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ იმ წეს-რიგის შეცვლა, რაც ზემოთ სწერია და რაიმე კომპრომისების დაშვება,—ყოვლად შეუძლებელია. პრესაში თქვენთან კამათს დღეიდან ამით ვსპობ და როგორც პატიოსანს კაცს, გელით თქვენის მედიატორეებით სვანეთში, დანიშნულ დრომდე.

უკეთუ უარსა [illegible] ჩემს [illegible] დრომდე არ მობრძანდებით სვანეთში სამედიატორო სასამართლოში, იმ შემთხვევაში იძულებული ვიქნები, ცილის წამებისათვის ოფიციალურ სასამართლოს მივმართო.

ზემო სვანეთის ბოქაული
თ-დი მურზაყან დადეშქელიანი.

28 ღვინობისთვე
1916 წ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6 34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.03	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, . 6 „	24 „	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

ვურჩევთ ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია—შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინი** (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— **მოლეციტინი** საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასტენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— **მოლეციტინი** მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— **მოლეციტინი** უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— **მოლეციტინი** მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— **მოლეციტინი** სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე

— **მოლეციტინი** ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს აგრედვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— **მოლეციტინი** ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— **მოლეციტინი** მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— **მოლეციტინი** ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— **მოლეციტინი** ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

თითო კოლოფის ფასი 3 მან. სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. გზავნება ფასდადებით 5 მან. ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტთან.** Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 საპ. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 4.